2

726 ~ 8492

დიდება მშვიდობის მაისებს!

სამშობლო

1 2 9

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

№ 9 (314) გამოცემის მე-17 წელი

1973 წლის მაისი



თბილისი. 1973 წლის 1 მაისი. მშრომელთა დემონსტრაცია რუსთაველის გამზირზე.

ხალხისა და პარტიის ერთიანობა

1898 წელს — 75 წლის წინათ — თბილისის მუშებმა, პირველად, არალეგალურად იდღესასწაულეს პირველი მაისი. მას შემდეგ ქართველი მუშები სამაისო დღესასწაულებს ყოველთვის აღნიშნავდნენ. განსაკუთრებით დიდი აღმაფრენით ტარდება მაისობა საბჭოთა საქართველოში, სადაც ეს დღესასწაულები იქცა ხალხისა და პარტიის ერთიანობის კიდევ ერთი დემონსტრაციის უზადო გამოხატულებად. სამამულო ომის დამთავრების შემდეგ 1 და 2 მაისის დღესასწაულებს დაემატა 9 მაისი — დიდ სამამულო ომში ფაშისტურ გერმანიაზე საბჭოთა ხალხების გამარჯვების დღესასწაულიც. ამიტომაც არის, რომ ჩვენში მაისის სამი დღე — 1, 2 და 9 მაისი — თავისუფლების, შრომის პატივისცემის, მშვიდობისათვის ბრძოლისა და მოღვაწეობის, ხალხთა ძმობის დღესასწაულებად იქცა.

...გაზაფხულით სუნთქავს საქართველოს დედაქალაქი თბილისი, გარდასულ საუკუნეებში უამრავ ჟამთასიავის მომსწრე, დღეს ხალხის შრომით განახლებული, საბჭოეთის მადლით გალაღებული საქართველოს გული. მაისის დილა ალერსით ელამუნება მის ქუჩებსა და გამზირებს, ზვიადად აღმართულ ცათამბჯენებსა და შემოქმედებით შთაგონების ნახელავთ — საბურთალოს, ვაკის, დიღმის, ვარკეთილის საცხოვრებელ მასივებს, ხალხთა ყოფისა და ცხოვრების გასაბედნიერებლად რომ გაშლილან თავისუფალი შრომით შთაგონებული ადამიანის გამრჯე მარჯვენით.

ხალხმრავლობაა ყველგან — ჭავჭავაძის გამზირზეცა და ბეტონის ნატიფ კალაპოტში მოქცეული ძველი და ახალი თბილისის მესაიდუმლის — მტკვრის — ორსავე სანაპიროზეც, პლეხანოვის გამზირზეცა და ავლაბარშიც, ძველი თბილისის ადრინდელ „მეიდანშიც" და საბჭოეთის სიდიადის სამხილებით დამშვენებული ყოფილი „ნაძალადევის" მშვენებაზე — ოქტომბრის გამზირზეც...

...განახლებისა და მშვიდობის, შრომის პატივისცემისა და თავისუფლების საზეიმოდ გამოშლილან თბილისის მკვიდრნი, დიდი და პატარა, რათა კიდევ ერთხელ დაამტკიცონ თავიანთი ურყევი რწმენა და ერთგულება ლენინური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლებისადმი, ესოდენ შთაგონებით რომ უვლის საბჭოთა ადამიანის ნათელ აწმყოსა და ბრწყინვალე მომავალს. ქალსა და კაცს, უპარტიოსა და კომუნისტს განუწყვეტლივ შთააგონებს იმის შეგნება, რომ მათ დიად სამშობლოში, უძლეველ საბჭოეთში ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ადამიანმა ბედნიერად იცხოვროს აწ და მარადის, იცხოვროს ლენინური ინტერნაციონალიზმის ძმობით გამთბარ ერთა ურღვევ კავშირში. საბჭოთა ხალხებისა და ლენინური კომუნისტური პარტიის მონოლითური ერთიანობის საფუძველთა საფუძველია ყველა ხალხის თანასწორუფლებიანობა, ძმობა, ერთობა, შრომის პატივისცემა, პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური, შემოქმედებითი და დაუღალავი ზრუნვა საყოველთაო მშვიდობაზე, ფიქრი და დაუცხრომელი ჯაფა იმისათვის, რომ ჩვენი დიადი ქვეყნის ყველა მოქალაქეს ეცხოვრებოდეს გულდინჯად, ამაყად, მხნედ, შემოქმედებითი შრომის — ადამიანის ნათელი სიცოცხლის ამ უპირველესი საფუძვლის — მტკიცე გარანტიით.

ქვეყნად არსად, არც ერთ სახელმწიფოში არ ზრუნავენ ადამიანის სიკეთესა და ბედნიერებაზე ისე, როგორც საბჭოეთში. ამ ზრუნვის ნათელი დადასტურებაა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის დირექტივები, რომლებიც ხუთწლედის გეგმად სახავენ ადამიანის ბედნიერებისათვის შემდგომ არნახულ ზრუნვასა და შთაგონებულ შრომას, ნათელი მომავლისა და მშვიდობის მტკიცე უზრუნველყოფას.

სწორედ ამ სამაისო დღესასწაულების წინ ჩვენი დიადი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც, გამოხატა რა მთელი პარტიის, საბჭოთა ხალხების ნება-სურვილი და ალალი აღიარება, ერთხმად მოიწონა საბჭოთა მთავრობისა და კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლეონიდ ბრეჟნევის მოღვაწეობა მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების საქმეში. ეს იყო ჭეშმარიტად მაღალი შეფასება საბჭოთა კავშირის ლენინური მშვიდობიანი პოლიტიკისა.

ლენინური თანაარსებობისათვის საბჭოთა ქვეყნის, საბჭოთა ხალხების ღვაწლისა და დიდი შრომის აღიარება იყო „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტის გადაწყვეტილება, რომლითაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს მიენიჭა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო ლენინური პრემია.

გაზაფხულის ბუნების გაღვიძებისა და დიადი განახლების, გამარჯვებებისა და სიკეთის მადლიან ზეიმებს მთელ საბჭოთა ქვეყანასთან ერთად გულმხურვალედ ეგებება საბჭოთა საქართველო, მისი ქუთაისი და თელავი, ბათუმი და რუსთავი, გორი და ზუგდიდი, სოხუმი, მახარაძე, ცხინვალი, რესპუბლიკის ყველა ქალაქი და სოფელი, ქართველი, რუსი, სომეხი, აფხაზი, ოსი, საბჭოთა საქართველოში ძმურად მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნების შვილნი, რომელთაც კეთილად დანათის განახლებული საქართველოს დიდებული აწმყოსა და ბრწყინვალე მომავლის ნათელი მზე.

ალისფერი დროშების უკიდეგანო სივრცეებში გალაღებული საქართველო დიდი შრომითი ენთუზიაზმითა და აღმავლობით შეხვდა საყოველთაო ზეიმებს, პარტიისა და მთავრობის მოწოდებას — ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტ წელს შთაგონებული მუშაობით მტკიცე ფუძე დავუდოთ ყველა საგეგმო დავალების გადაჭარბებით შესრულებას, ყველაფერი გავაკეთოთ სამშობლოს საკეთილდღეოდ, მშვიდობისა და ბედნიერების განსამტკიცებლად.

საქართველოს სსრ მთავრობის სახლის წინ მდებარე ტრიბუნებთან უწყვეტ ნაკადად მიაბიჯებენ თბილისელი სახელოვანი მუშები, მოსამსახურეები, მწერლები, მეცნიერები, კომპოზიტორები, მხატვრები, შესანიშნავი ინტელიგენციის წარმომადგენლები, თბილისელი მოსწავლეები, სტუდენტები, სპორტსმენები, ჩვენი კეთილი, ხალხთა ძმათა ძმობაში ოდითგანვე აღზრდილი თბილისელები, რისი ნათელი დადასტურებაც არის ქალაქის მკვიდრთა ისტორიულად ცნობილი ეროვნული სიმრავლე. ისინი სიყვარულით ესალმებიან ქართველი ხალხის უკეთეს წარმომადგენლებს, იმათ, ვინც თავი ისახელეს 1973 წლის პირველი კვარტალის მაჩვენებლებით, ვინც თავისი წვლილი შეიტანა ჩვენი რესპუბლიკის სასახელოდ და სასარგებლოდ, საკუთარი შრომითი ენთუზიაზმით ნათელი მაგალითები და გრანდიოზული ამოცანები დაუსახა საქართველოს მშრომელებს, ქართველ ხალხს იმ დიდი გეგმებისა და მიზნების განსახორციელებლად, რაც გამიზნულია საბჭოთა საქართველოს კიდევ უფრო დიდი მომავლისათვის.

ეს არის ჭეშმარიტი ერთიანობა ხალხისა, მთავრობისა, პარტიისა, რაიც მტკიცე საწინდარია საბჭოთა საქართველოს წინსვლისა, პროგრესისა, იმ დიდი შემოქმედებითი აღმავლობისა, რომლითაც საბჭოეთის ძმურ ოჯახში გაერთიანებულ ქართველ ხალხს ღირსეული წვლილი შეაქვს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის დიად მიზანდასახულობათა განხორციელებაში, ძალ-ღონეს არ იშურებს საბჭოთა ადამიანის ბედნიერი ცხოვრების კიდევ უფრო გაბედნიერებისათვის, შრომის, შემოქმედების, ძმობისა და ერთობის ზეიმისათვის, იმისათვის, რომ ქვეყნად მარად სუფევდეს მტკიცე მშვიდობა, რომ აღარ იყოს ომი, კაცთმოძულეება, დანგრეული ქალაქები, აოხრებული სოფლები, დაობლებული ბავშვები, ომის ქვრივები, ხეიბრები, რომ „სამშობლოს" ფურცლებზე გულდაკოდილი მშობლები, მოკეთენი აღარ ეძებდნენ ომში უგზოუკვლოდ დაკარგულ შვილებს, მამებსა და ძმებს, რომ მსოფლიოში მარად სუფევდეს გამარჯვებული მშვიდობა!

დიდება მშვიდობის ლენინურ მაისებს!

ლალადი საქართველოსი

დიად საბჭოთა კავშირის
ძმადშეფიცულო ერებო,
სამშობლოს სახელ-დიდებით
იხარეთ, ბედნიერებო!
თქვენზე ოცნებით მიყვავის
გულ-მკერდი დაუშრობელი,
პატარა საქართველო ვარ,
გმირთაგმირების მშობელი.
მზემ სიხარული მომფინა,
კვლავ გაზაფხულის დარი ვარ,
ვლაღადებ მაღალ მთებიდან,
კვარცხლბეკზე გადმომდგარი ვარ.
მესმის ქარხნებში თქვენი ხმა,
ყანებში — მწყობრი ნადური,
მას ვერ ჩააქრობს მუქარა,
ვერც მტრობა მუხანათური.
თხუთმეტი ძმა ვართ ნაფიცნი,
გვწამს მეგობრობა ნამდვილი,
ჩვენ ერთი დროშა გვაერთებს, —
სამშობლოს წმინდა მანდილი.
როდესაც ურდო ურჯულო
შემოგვესია თარეშით,
ერთად, ბრძოლებში გასულნი,
დავქროდით სიავდარეში.
გავწმინდეთ ჩვენი საზღვარი
მტრის გესლით გადაშხამული,
კვლავ გავახარეთ სამშობლო,
კვლავ ვასახელეთ მამული.
ერთობა დიდი ძალაა,
მის წინ მარცხდება ყოველი,
ეს ძალა ხალხის გულშია,
მარადის განუყოფელი.
თუ მტერმა ომის ხანძარით
ხალხის დარბევა ინება,
ჩვენ გავიმარჯვებთ, სიმართლეც
მსოფლიოს მოეფინება.
სამშობლო იყოს უკვდავი,
ტკბილია დედის ალერსი,
სამშობლო, ჩვენი აკვანი,
ყველაზე უსაყვარლესი.
ჰყვაოდეს ჩვენდა ნუგეშად,
მზედ და იმედად ხვალისა,
ჰყვაოდეს პირზე ღიმილით
ბრწყინვალე მომავალისა.
დიად საბჭოთა კავშირის
ძმადშეფიცულო ერებო,
სამშობლოს სახელ-დიდებით
იხარეთ, ბედნიერებო!

ალიო მირცხულავა

თაოგეგს ახსოვთ და ემახსოვრებათ
სამშოგლოსათვის დაცემული გმირები!

შენი ლამაზი სიცოცხლე

შენს მხარეში მოვდივარ, შინწო.

შინში ფშაურად დეიდაშვილს ნაშნავს. მამაშენმა, სვანმა — გედეონ გელოვანმა — თიანეთში შეირთო ფშაველი ქალი — ევა მაჩურიშვილი... ისინი შენი მშობლები ყოფილან და რაკი ამ სტრიქონების გამომართავის დედაც ფშაველია, იმიტომ გეძახი შინწოს.

ჩვენ ეხლა სწორები ვართ, მირზა — სწორები წლოვანებით, თორემ ისე ძალიან დიდი ხარ, იმდენად დიდი, ლამის ლეგენდად გადაიქცე.

კარგა ხანია სურვილად გამიჩნდა რაიმე დამეწერა ჩემს შინწოზე. ეს კი ძნელიც არის და ადვილიც, ზოგი რამ ვიცი შენეული. არა, თიანეთში ასვლა სულაც არ დამჭირდება, მაგრამ გეკრძალვი, მირზავ, და მორიდებით უნდა ვეახლო თიანეთს, იორს, ქუსნოს, ისინჯას, ხაწირს და ცხრაკარს.

აი მოვდივარ და შენზე ვფიქრობ...

გავცდი ბოჭორმას, სიონს (შენს აქ არ ყოფნაში ზღვა დაუგუბებია იორს), ისევ შენზე ვფიქრობ. უხერხულობაც გამკენწლავს ხოლმე...

უნდა ვეახლო შენთვის ძვირფას ადგილებს, მაგრამ ზოგჯერ მეჩვენება, რომ ჩემი წადილი ცოტა საჩოთიროა. მე ის თამბა ვარ, თქვენ რომ დაგვიცავით, თვითონ სუსხს შეეგებეთ, თავი გასწირეთ, ჩვენ კი სითბო და სიმყუდროვე, მამული და წიგნი, კეთილდღეობა და სიყვარული მამაშვილურად გადმოგვაბარეთ. ჩვენ ვალში ვართ თქვენთან და ამ ვალს ვერასდროს ვერაფრით ვერ გადავიხდით.

...საყდრიონში გზის პირას მოხდენილი გოგო დგას და მგონი ავტობუსს ელოდება. გავუჩერო მანქანა, შინწო? შენზე მინდა ვესაუბრაკო, ნეტა თუ გიცნობს?

სიჩქარე შევანელე, თუ თვითონ გამაჩერა...

მოხდენილმა გოგომ გაუბედავად გადმოდგა ნაბიჯი, მერე შეჩერდა. შევჩერდი მეც.

— თიანეთამდე წამიყვანთ? — მეკითხება უკვე სასურველი თანამგზავრი.

— ერთი პირობით, — ჭირას გამოგარომევთ. გზაში მირზას ლექსები უნდა მიკითხოთ, — ვეუბნები ღიმილით; გოგომაც გაიღიმა.

— აბა! წამიკითხეთ ლექსები.

— კეთილი, — მითხრა და წამით ჩაფიქრდა.

„წახვალ, ლოდინი გამაწვალებს,
მოხვალ, სიხარულს დაგიფენ,
შენ მე სიყვარულში ისე
გამათავებ,
ვერაფერს გაგიგებ“.

მთელი გზა შენზე ვსაუბრობდით, შინწო. შენი მეგობრებიც გავიხსენეთ. ისინიც, რომლებიც შენებრ **„ჰაბუკები დარჩნენ მარად“** და ისინიც, ვინც დღეისათვის ნახევარ საუკუნეს გადააბიჯა. აბა, სინანულმა როგორ არ ამიტანოს, შინწო, რანი იქნებოდით დღეს!

იმ დღეს აკადემიკოსმა ნიკო კეცხოველმა თქვა: ნეტა როგორი პოეტი იქნებოდაო ლადო ასათიანი დღეს? ის ხომ ყველაფერში ქართველთა გამარჯვებას ხედავდაო: **„თორემ მტერს ისიც კი შეაშინებს, ერთხელ ხმამაღლა რომ ვთქვათ — მარაბდა“, „ჰეი, თქვენ არაგველებო, გაუმაძღარნო ომითა, თქვენს საფლავებთან მოსვლა და მუხლის მოდრეკა მომინდა“.**

„ლადოს თბილისის კარებთან
სძინავს,
მირზას საფლავის არა
ვიცით რა“.

ეს სტრიქონები შენს მეგობარს გიორგი კალანდაძეს ეკუთვნის.

შენ იყავი პოეტი და ჯარისკაცი, შინწო.

პოეზიაშიც და ჯარისკაცობაშიც იყავი მართალი და ვაქკაცური, ნიჭიერი და თავდადებული.

„ომი დაიწყო, ვიცოდი, რომ დაიწყებოდა... გჯეროდეთ, ჩემო ძვირფასებო: თუ ჩემი ბედი ამ ომში დამთავრდება, თუ სიკვდილი მიწერია ამ ომში, ძალიან ძვირად დავუსვამ მტერს სიცოცხლეს ჩემსას. დაე ნუ შეგრცხვებათ, რომ მე თქვენი სისხლი და ხორცი ვარ. მე მაქვს უდიდესი სიმშვიდე. ჩემში ცოტნე დადიანის სულია და ნებისყოფა და თქვენ შეგიძლიათ ამაყად თქვათ, რომ მე ვიცავ სამშობლოს, რათა მომავალი თაობები იყვნენ ჯანსაღნი, ბედნიერნი და ძლიერნი. მე საკუთარ სიცოცხლეზე მეტად მიყვარს ჩემი სამშობლო, ის, უველაფრის მიუხედავად, ცოცხალია და მისი შვილების დაძახილი აღვიძებს გრიგალებს. ეს არის უველაზე დიდი ომი, რაც კი ყოფილა დედამიწის ზურგზე. არც ჰანიბალის, არც მაკედონელის, არც ნაპოლეონის ომები არ შეედრებიან ამ ომს სიდიდით... არც სადმე ისეთი დიდი გული ყოფილა ქვეყნად, როგორიც მე მაქვს, როგორიც აქვთ ჩემს ამხანაგებს“.

ეს ბარათი ომის დაწყებისას დაწერე, შინწო. სამშობლოსათვის თავდადებული ჯარისკაცის ბარათია, მაგრამ მაშინ, როცა საბჭოთა ჯარისკაცებთან ერთად ათავისუფლებდი უკრაინისა და ბელორუსიის ქალაქებსა და სოფლებს, დღითი დღე იწრთობოდა და იზრდებოდა ქართველი პოეტი მირზა გელოვანი.



მირზა გელოვანი

„დამიწდეს გული,
თუ იქნება ხენეშიანი,
ჩემო ხეებო,
ჩემო კარგებო.
თუმც გრიგალია,
ჩემი ხმა და
თქვენი შრიალი —
ისე მგონია,
არასოდეს დაიკარგება“.

ჩემი თანამგზავრი მეუბნება, რომ მირზა გელოვანის ეს ლექსი ერთ-ერთი უკანასკნელთაგანია — 1944 წელს დაწერილა ლექსიც და 30 აპრილით დათარიღებული 27 წლის ქართველი პოეტისა და ჯარისკაცის უკანასკნელი ბარათიც.

თიანეთში შენი სახელობის სკოლას შევხედე, შინწო, მირზას — ბიუსტსაც მივესიყვარულე. თანამგზავრმა შენს სახლიკაცს დაურეკა — თემო ძია, თქვენთან სტუმარი ჩამოვიდაო.

შევხედე შენს უმცროს ძმას თეიმურაზ გელოვანს. თქვენეულ სახლში წამიყვანა, კარ-მიდამო მომათარა. თითქმის უველაფერი ისევეა, როგორც დატოვე, ოღონდ მოკოპწიაებულა აქაურობა, აივანი გაუფართოებიათ, — ეს არის და ეს.

—1944 წლის აპრილიდან აღარაფერი ვიცოდი ჩემი ძმის შესახებ, — მეუბნება თეიმურაზ გელოვანი და, ვინ იცის, დღეს კიდევ მეტი მოწერია ამ ომში, ძალიან ძვირად დავუსვამ მტერს სიცოცხლეს ჩემსას. დაე ნუ შეგრცხვებათ, რომ მე თქვენი სისხლი და ხორცი ვარ. მე მაქვს უდიდესი სიმშვიდე. ჩემში ცოტნე დადიანის სულია და ნებისყოფა და თქვენ შეგიძლიათ ამაყად თქვათ, რომ მე ვიცავ სამშობლოს, რათა მომავალი თაობები იყვნენ ჯანსაღნი, ბედნიერნი და ძლიერნი. მე საკუთარ სიცოცხლეზე მეტად მიყვარს ჩემი სამშობლო, ის, უველაფრის მიუხედავად, ცოცხალია და მისი შვილების დაძახილი აღვიძებს გრიგალებს. ეს არის უველაზე დიდი ომი, რაც კი ყოფილა დედამიწის ზურგზე. არც ჰანიბალის, არც მაკედონელის, არც ნაპოლეონის ომები არ შეედრებიან ამ ომს სიდიდით... არც სადმე ისეთი დიდი გული ყოფილა ქვეყნად, როგორიც მე მაქვს, როგორიც აქვთ ჩემს ამხანაგებს“.

რამდენიც მახსენდება ჩვენი ამაგდარი ლიტერატორისა და მირზას უფროსი მეგობრის ნიკა აგიაშვილის წიგნი — **„ჰაბუკები დარჩნენ მარად“: „მირზამაც ვეღარ იხილა ბრძოლების შემდეგ მზე გამარჯვების“.**

მირზა გელოვანმა უდროო სიკვდილით ძალიან ბევრს ატკინა გული. საფლავიც დაიკარგა, დარჩა მარტო მისეული ლექსები, ესოდენ რომ შეიყვარა ქართველმა მკითხველმა და განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობამ.

მერე თეიმურაზ გელოვანმა მიამბო, თუ როგორ მოვიდა საქართველოში 1963 წლის ივნისში ბელორუსიის სსრ ვიტებსკის ოლქის სოფელ რუავკის საშუალო სკოლის პიონერების წერილი, რომელშიც იწერებოდნენ, — სოფელში არის სამხედრო სასაფლაო, სადაც დაკრძალულია ქართველი ჯარისკაცი მირზა გელოვანიო. მის საფლავს პიონერები სათუთად უვლიან. ყოველ 9 მაისს კი ყვავილებით ამკობენ სამშობლოსათვის თავდადებულის საფლავს.

— ვიტებსკში გავფრინდით მე, ჩვენი და რუსუდანი და ნათესავი ტრისტან ხუციშვილი, — განაგრძობს თეიმურაზ გელოვანი. ბელორუსიაში გულთბილად შეგვხვდნენ. სოფელ სანიკის მახლობლად ომში დაღუპულ ძმათა სასაფლაოზე დგას ობელისკი, რომელსაც აწერია: „სამარადისო დიდება ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაცემულ გმირებს (1941-1945). აქ დაკრძალულნი არიან უფროსი ლეიტენანტი მირზა გელოვნის ძე გელოვანი, გვარდიის სერჟანტი ვაუტ ოზმაილოვი და სხვები“.

უნებლიეთ ჟრუანტელი მივლის, შინწო...

მართლა ძნელად მოიძებნება ისეთი გული, შენ რომ გჭონია. სიტყვის პატრონი ვაჟკაცი ყოფილხარ! საკუთარ სიცოცხლეზე მეტად გყვარებია სამშობლო.

გჯეროდეს, ბელორუსიის მიწას მიბარებული ჯარისკაცო და დიდებული პოეტო, შენს ქვეყანას, შენს ერსაც ძალუმად უყვარხარ.

მამულს ახსოვხარ, ცოცხლად გიხსენიებენ, შენი ხმა პოეტური არასდროს დაიკარგება.

და ისიც ხომ ჭეშმარიტებაა, შინწო, რომ შენი დღემოკლე სიცოცხლე ზოგთა საუკუნოვან დღეგრძელობას გადაფარავს... შენ შენი სიცოცხლეც გეყოფა, პოეტური, ვაჟკაცური, ალალი. ჩვენ ხომ ამ სიცოცხლით გვეყვარხარ, მირზავ!

ჯემალ ჟურხული

გავეყართოვოთ ხალხთა მშვიდობისა და უმიშროებისათვის ბრძოლა

მშვიდობის მომხრეთა რესპუბლიკური კონფერენცია

რესპუბლიკის საზოგადოებრივი ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო საქართველოს მშვიდობის მომხრეთა რესპუბლიკური კონფერენცია, რომელიც 7 მაისს გაიმართა. იგი მოეწყო ისეთ ღირსშესანიშნავ დღეებში, როცა საქართველოს მშრომელნი, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, მთელი პროგრესული კაცობრიობა შთაგონებულნი არიან პარტიის ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებებით, რომელმაც განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო საქმიანობის საკითხი.

რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში შეიკრიბნენ ქალაქებისა და რაიონების წარმომადგენლები — მუშები, კოლმეურნეები, მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების მოღვაწენი, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები.

საპატიო პრეზიდიუმში დიდი აღმავლობით ირჩევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს.

სიტყვა ეძლევა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ვიქტორია სირაძეს, რომელმაც წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება მშვიდობის მომხრეთა რესპუბლიკური კონფერენციის მონაწილეებისადმი.

ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის ბრძოლის კეთილშობილური იდეები, — ნათქვამია მისალმებაში, — განსახიერებულია ჩვენი პარტიის XXIV ყრილობაზე მიღებულ სამშვიდობო პროგრამაში, რომელიც განსაზღვრავს: ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისათვის, იმპერიალიზმის აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ, სხვადასხვა სოციალურ სისტემათა სახელმწიფოების მშვიდობიანი თანაარსებობისათვის საბჭოთა ხალხის ბრძოლის მთავარ მიმართულებებს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განუხრელად და თანამიმდევრულად იბრძვიან ამ პროგრამის განსახორციელებლად, რომელიც მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ძალების ფართო და სულ უფრო მზარდი მხარდაჭერით სარგებლობს.

მოხსენება გააკეთა საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ პოეტმა იოსებ ნონეშვილმა.

სიტყვებში გამოვიდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი მდივანი ბ. ბაბაშიძე; სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, თბილისის ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის მუშა რ. სოკურაშვილი; საბჭოთა კავშირის გმირი, გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტი ვ. ჯანჯღავა; საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი მ. ხვარწკია.

შემოაქვთ წინადადება, რომ ლ. ი. ბრეჟნევს გაეგზავნოს მისასალმებელი წერილი იმასთან დაკავშირებით, რომ მას მიენიჭა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემია. წერილის ტექსტს კითხულობს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის წევრი, თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი ნ. ფასაძე:

ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ!

საქართველოს მშვიდობის მომხრეთა რესპუბლიკური კონფერენციის მონაწილენი მხურვალედ, სულითა და გულით გილოცავენ „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის მონიჭებას. ეს აღიარებაა თქვენი უდიდესი პარადი წვლილისა, რომელიც შეიტანეთ სკკპ XXIV ყრილობაზე თქვენი მოხსენების შესაბამისად მიღებული საბჭოთა სამშვიდობო პროგრამის განხორციელების საქმეში.

საქართველოს მშვიდობის მომხრეებს — ქალაქისა და სოფლის მშრომელთა წარმომადგენლებს, რომლებიც ძალ-ღონის დაუზოგავად იბრძვიან მეცხრე ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის გაჩაღებული მშვიდობიანი შრომის ასპარეზზე, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი კვლავაც ამრავლონ ჩვენი სამშობლოს სიმდიდრე. ეს არის მისი ძალა, ძლიერება და კიდევ მეტი პოზიტიური გავლენა თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობის განვითარების მთელს მიმდინარეობაზე. საბჭოეთის სახელოვანი გზა ლენინური ზავის დეკრეტიდან სამშვიდობო პროგრამამდე — ეს არის აღმშენებლობის გზა, სამართლიანობისათვის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის გზა.

ჩვენთვის—საქართველოს მშვიდობის მომხრეებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ თქვენ საერთაშორისო ლენინური პრემია მოგენიჭათ. ჩვენ მიგვაჩნია ეს ლენინური მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის ცხოველმყოფელობის დადასტურებად, ჩვენი მოძრაობის ნაყოფიერი საქმიანობის აღიარებად, ამ მოძრაობის უზენაესი სამართლიანობის კიდევ ერთ უცილობელ საბუთად.

გისურვებთ, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ, ჯანმრთელობას, ახალ დიდ შემოქმედებითს წარმატებებს თქვენს მრავალმხრივ მოღვაწეობაში საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ, მთელი მსოფლიოს მშვიდობის საკეთილდღეოდ.

დარბაზში გრიალებს მქუხარე, ხანგრძლივი ტაში...

ტრიბუნაზეა სოციალისტური შრომის გმირი, ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის კოლმეურნეობის მეჩაიე ჟ. გოგიტიძე.

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ეფემი V აღნიშნა, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მთლიანად და სავსებით იწონებს და მხარს უჭერს საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკას, რომელიც შეესაბამება ყველა ხალხის ძირეულ ინტერესებს.

კონფერენციაზე გამოვიდნენ აგრეთვე თბილისის 153-ე საშუალო სკოლის დირექტორი ვ. კულიკოვა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშვიდობის მომხრეთა წარმომადგენელი პროფესორი ს. გაბარაევი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ნ. ჯავახიშვილი, თბილისის უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ვ. ასათიანი, მშვიდობის საბჭოთა ფონდის ხელშემწყობი რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარე, სსრ კავშირის სახალხო მხატვარი უ. ჯაფარიძე, საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის მდივანი ნ. პასტუხოვი.

გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შედეგები შთააგონებენ საბჭოთა ადამიანებს ახალ შრომით გმირობას.

კონფერენციის მონაწილეებს საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის სახელით მიესალმა ამ კომიტეტის დელეგაციის ხელმძღვანელი აკადემიკოსი მ. მიტინი.

კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც საქართველოს მშვიდობის მომხრენი, ისე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, აცხადებენ, რომ მთლიანად უჭერენ მხარს საბჭოთა კავშირის ლენინურ საგარეო-პოლიტიკურ კურსს, მხურვალედ იწონებენ მშვიდობისმოყვარე ძალების მსოფლიო კონგრესის მოწვევის იდეას.

კონფერენციაზე აირჩიეს საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის ახალი შემადგენლობა. კომიტეტის თავმჯდომარედ კვლავ არჩეულია იოსებ ნონეშვილი, თავმჯდომარის მოადგილეებად — უჩა ჯაფარიძე, ეთერ გუგუშვილი, ლეილა სადრაძე.

დიდება მშვიდობისათვის მებრძოლთ!

საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატები



ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი



სალვადორ ალიენდე გოსენსი



ენრიკე პასტორინო



ჯეიმს ოლდრიჯი

„ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტში

მიმდინარე წლის 19 აპრილს აკადემიკოს დ. ვ. სკობელცინის თავმჯდომარეობით გაიმართა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტის სხდომა.

კომიტეტმა განიხილა შემოსული წინადადებანი 1972 წლის საერთაშორისო ლენინური პრემიების მინიჭების შესახებ და მიიღო დადგენილება ამ საკითხზე.

დღეს ქვეყნდება კომიტეტის დადგენილება საერთაშორისო ლენინური პრემიების მინიჭების შესახებ.

„ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტის დადგენილება

„ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ 1972 წლის საერთაშორისო ლენინური პრემიების მინიჭების შესახებ

მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში დიდი დამსახურების გამო „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიები მიენიჭოს:

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს.

სალვადორ ალიენდე გოსენსს — ჩილეს რესპუბლიკის პრეზიდენტს.

ენრიკე პასტორინოს — პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის თავმჯდომარეს (ურუგვაი).

ჯეიმს ოლდრიჯს — მწერალს, საზოგადო მოღვაწეს (ინგლისი).

კომიტეტის თავმჯდომარე **დ. ვ. სკობელცინი** (სსრ კავშირი).
კომიტეტის წევრები: **ბ. ვ. ალექსანდროვი** (სსრ კავშირი), **ლუი არაგონი** (საფრანგეთი), **ნ. ნ. ბლოხინი** (სსრ კავშირი), **მირიამ მირე-ტუომინენი** (ფინეთი), **რენატო გუტუზო** (იტალია), **ანა ზეგერსი** (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), **კეშავ დევა მალავია** (ინდოეთი), **ხუან მარინელიო** (კუბა), **პაბლო ნერუდა** (ჩილე), **ნ. ვ. ტომსკი** (სსრ კავშირი), **გიორგი ტრაიკოვი** (ბულგარეთი), **კაორუ იასუი** (იაპონია).

მოსკოვი, 1973 წლის 19 აპრილი.

მშვიდობისათვის ბრძოლის თავკაცი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლეონიდ ბრეჟნევს მიენიჭა „ხალხთა შორის მშვიდობის დაცვისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემია.

ეს პრემია ჭეშმარიტად დამსახურებული ჯილდოა იმ დიდი ღვაწლისთვის, იმ დიდი დამსახურებისთვის, რაც ლ. ი. ბრეჟნევს მიუძღვის ქვეყნად მშვიდობის დაცვისა და განმტკიცების საშვილიშვილო საქმეში. ამ ღვაწლს დღეს მთელი მსოფლიო იცნობს და აღიარებს. ამ დამსახურების შესახებ მშვენივრადაა ნათქვამი აურაცხელ მისალმებაში, რომლებსაც კეთილი ნების ადამიანები დღეს უგზავნიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს მსოფლიოს ყველა კუთხიდან.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი მშვიდობისათვის ბრძოლის თავკაცია დღევანდელ მსოფლიოში. მან დიდებულად იცის რას ნიშნავს მშვიდობა; იგი ხომ დიდი სამამულო ომის წლებში ურთულეს ფრონტებზე იბრძოდა საბჭოთა კავშირის ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე, იქ, სადაც წყდებოდა ჩვენი დიდი ქვეყნის ბედ-იღბალი. ლ. ი. ბრეჟნევი გენერალ ლესელიძესთან ერთად იცავდა კავკასიას საქართველოს მისადგომებთან და დაიცვა კიდეც დიდი საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკის შვილთა თანდგომით.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი საქართველოს დიდი მეგობარია.

როცა ამ სტრიქონებს ვწერ, მე თვალწინ მიდგას ჩვენი უკვდავი წინაპრის შოთა რუსთაველის დაუვიწყარი იუბილე. ეს დღესასწაული დაკავშირებულია ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სახელთან.

ამ დიდებული იუბილის დღეებში საბჭოთა კავშირის დედაქალაქის მშრომელთა და ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებით მოსკოვის ერთ-ერთ მშვენიერ უბანში აღიმართა დიდი ქართველი პოეტის ძეგლი. ძეგლის გახსნის ცერემონიალის დამსწრენი, ბუნებრივია, ვდელავდით, მაგრამ ეს მღელვარება განუსაზღვრელი გახდა, როცა მიტინგის სახელდახელო ტრიბუნიდან თავისებური დინჯი ნაბიჯით ჩამოვიდა და ჰუმანიზმისა და მშვიდობის იდეალთა გენიალური მქადაგებლის სახეს ზეწარი ჩამოხსნა თვით ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა.

ყველა ჩვენთაგანის ხსოვნაში ჭეშმარიტად წარუშლელია ეს სურათი.

ამ დაუვიწყარი სურათით და კიდევ მრავალი და მრავალი მისი კეთილი საქმეებით შთაგონებული, ვუერთებ მეც დღეს ჩემს ხმას, ქართველი პოეტის ხმას, იმ ურიცხვ მილოცვებს, რომელთაც იღებს დღეს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი მსოფლიოს ყოველი კუთხიდან.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ბრძოლა მშვიდობის დაცვისათვის, მისი ამოუწურავი ენერგია იმედებით აღავსებს მთელი მსოფლიოს მშრომელთ, რომ ხალხთა მშვიდობიანი თანამშრომლობის საშვილიშვილო საქმე საბოლოოდ გაიმარჯვებს.

ირაკლი აბაშიძე,
პოეტი-აკადემიკოსი.

შრომით ვაქებთ!

ჭეშმარიტად კეთილშობილი საქმეა ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის მოღვაწეობა. მშვიდობა ჩვენი ბედნიერების სათავეა და კაცობრიობის საუკეთესო მეგობარია ადამიანი, რომელიც ძალასა და ენერგიას არ დაიშურებს მშვიდობისათვის შრომასა და ბრძოლაში.

მესიამოვნა, რომ „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტის დადგენილებით, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს საერთაშორისო ლენინური პრემია მიენიჭა.

ლეონიდ ბრეჟნევი დღეს უთუოდ აღიარებული ლიდერია ამ კეთილშობილ საქმიანობაში. მისი ყოველდღიური ღვაწლის ესოდენ დაფასება მე და ჩემს მეგობრებს — თბილგვირაბმშენის მშრომელებს აღგვაფრთოვანებს ახალ-ახალი შრომითი გამარჯვების მისაღწევად. თბილისის მიწის გულში კვლავაც გავიყვანთ გზებს ცისფერ მატარებლებისათვის, ავაგებთ მიწისქვეშა დარბაზებს — მეტროს სადგურებს. თბილგვირაბმშენის მუშები ღირსეული შრომით დავაფასებთ ძვირფასი ლეონიდ ბრეჟნევის ამ დიდ ჯილდოს, რომელიც მან ჩვენი, მშრომელი ადამიანის სიყვარულის მრავალგზის დადასტურებისათვის მიიღო.

გრუზა ოგოლაძე,
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი.

სულითა და გულით

პატარა ვიყავი, როცა პაპა პირველად მომიყვა ომზე. მომიყვა, როგორ აწამებდნენ ფაშისტი ბარბაროსები მოხუცებს, ქალებს, ბავშვებს, როგორ აქცევდნენ ნაცარტუტად ქალაქებსა და სოფლებს. ეს მონაყოლი საშინელებად აღიბეჭდა ჩემს გონებაში.

გავიდა რამდენიმე წელი... ერთხელ, პიონერული რაზმის შეკრებაზე, ჩვენმა პიონერხელმძღვანელმა მოგვითხრო პატარა გმირებზე, რომლებმაც არ დაიშურეს თავიანთი ახალგაზრდა სიცოცხლე და თავი შესწირეს ბრძოლას მშვიდობისათვის. ისინი დაიხოცნენ იმისათვის, რომ ქვეყნად ბედნიერება სუფევდეს, რომ ათასფრად ყვაოდეს ყვავილები, რომ მშვიდად ანათებდეს მზე, რომ გვითენდებოდეს დილა მშვიდობისა.


ჩვენ გვინდა მშვიდობა, მაგრამ მსოფლიოს რეაქციული ძალები არ ისვენებენ აქა-იქ მუდამ გიზგიზებს ომის ცეცხლი, იღუპებიან ბავშვები, ტირიან დედები... ამიტომაც ქვეყნად მშვიდობისათვის ბრძოლა ყველა კეთილი ადამიანის ვალია.

დიდი სიხარულითა და მადლიერების გრძნობით შევხვდით ქართველი ახალგაზრდები ამბავს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ 1972 წლის საერთაშორისო ლენინური პრემიით დაჯილდოების შესახებ.

სულითა და გულით ვულოცავთ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს ამ ღირსეულ ჯილდოს, ვუსურვებთ ჯანმრთელობასა და ბედნიერებას. ჩვენ, საქართველოს მოზარდი თაობა, ვუპატაკებთ ჩვენს პარტიას, ჩვენს ხალხს, რომ ყველა ღონეს ვიხმართ იმისათვის, რათა მუდამ ვიყოთ მშვიდობის, ხალხთა შორის თანამშრომლობისა და მეგობრობისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში.

მანანა ჭღენტი,
თბილისის №-ე საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლე.

ორნი ხიდქვეშ



საბჭოთა კავშირის გმირი, ხელოვნებისმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი, პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის კათედრის გამგე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის პრეზიდიუმისა და საკავშირო არქიტექტორთა კავშირის გამგეობის წევრი — **ირაკლი ციციშვილი** იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, ვინც საბჭოთა ხალხის მიერ დიდი სამამულო ომის მოგებით ბაფუძველი ჩაუყარა მშვიდობის საყოველთაო საქმეს.

...22 წლისამ 1941 წლის ივლისში ჩაიცვა ჯარისკაცის ფარაჯა. არქიტექტორის დიპლომი ფრონტისაკენ მიმავალს გადასცეს საყვარელმა აღმზრდელებმა და... შენების ნაცვლად მტრის ალაგმვა უსურვეს. იბრძოდა თავდადებით მოსკოვთან და სტალინგრადთან, კიევთან და პრაღასთან. მრავალჯერ ჩახედა სიკვდილმა თვალებში, მომხდურის ტყვიამაც უწია, მაგრამ სულით ძლიერმა ყველა განსაცდელს გაუძლო, სისხლი სისხლის წილ მიუზღა ფაშისტ ჯალათებს და შინ გამარჯვებული დაბრუნდა...

წესია — გამარჯვების დღესასწაულზე პირველი სიტყვა გამარჯვებულ ჯარისკაცს ეკუთვნის! ირაკლი ციციშვილის ფრონტულ ცხოვრებაზე ლაპარაკი დაუსრულებლივ შეიძლება. საბრძოლო ორდენები, მკერდს რომ უმშვენებენ, ერთნაირად საპატიოა, მაგრამ ოქროს ვარსკვლავის სიკაშკაშე მაინც პირველი იტაცებს თვალს და ამიტომაც გადავწყვიტეთ მკითხველისათვის ირაკლი ციციშვილის იმ შემართებაზე მოგვეთხრო, რისთვისაც 24 წლის ჭაბუკს ომის ჭარცეცხლიან დღეებში საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

ბრძანება, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც მოკლე და ლაკონიური იყო: მდინარე დნეპრზე 6 დღე-ღამეში უნდა აეშენებინათ ხიდი, რომელზეც გაივლიდა ტანკები და ქვემეხები, გაივლიდა საბჭოთა ჯარისკაცი, კიევის განსათავისუფლებლად რომ იჩქაროდა...

მტერი უკან იხევდა, მაგრამ ჯერ კიდევ ძლიერი იყო... გალმა მყოფ მტერს ერთი მიზანიღა ჰქონდა: მოწინააღმდეგისათვის მდინარის გადალახვის საშუალება არ მიეცა. იცოდა, აქაც თუ წააგებდა, შემდეგ ძნელი იყო შურისმაძიებელთა შეჩერება... ამიტომაც დაანგრია ყველა ხიდი, ჩაძირა ყველა ნავი, დაწვა ყველა ფიცარი; ამიტომაც უშენდა დღედაღამ მეორე ნაპირს ტყვიას... ტრაბახობდა კიდეც: დნეპრზე კაცი კი არა, ჩიტიც ვერ გადმოფრინდებაო...

ხიდის აშენება დაევალა ათასეულს, რომელსაც ინჟინერი ირაკლი ციციშვილი ხელმძღვანელობდა.

ცოცვით მიუახლოვდა აბობოქრებული მდინარის ნაპირს ირაკლი, თვალით შეარჩია ყველაზე მოხერხებული ადგილი ხიდისთვის და თითქოს იმის შიშით, არ დამავიწყდესო, ორი ციფრი — 6 და 550 რამდენჯერმე გაიმეორა. ექვსი — ხიდის ასაშენებლად განკუთვნილ დღეთა რაოდენობას ნიშნავდა, 550 კი — ხიდის სიგრძეს.

ოქტომბერი იწურებოდა, დნეპრის ტალღებს სითბო უკვე დაკარგული ჰქონდა, მაგრამ ხიდის მშენებლები წყალში მაინც შიშველი შესვლას ამჯობინებდნენ, ტანსაცმელის გასაშრობად ვისღა ეცალა...

მტერმა იგრძნო, ხიდი შენდებაო, და ცეცხლის ძალა გააათკეცა. ცეცხლითვე უპასუხეს ჩვენმა მებრძოლებმა, მშენებლები კი თავიანთ საქმეს განაგრძობდნენ... გავიდა სულ რაღაც რვა საათი და ირაკლი ციციშვილმა მთავარსარდლობას მოახსენა — ხიდის 150 მეტრი უკვე აშენებულიაო!

გულამღვრეული დნეპრი კი მტერ-მოყვარეს ვედარ არჩევდა, აბობოქრებული ტალღები იტაცებდა ადამიანებს, მაგრამ განსაცდელში ჩავარდნილს მეგობარი შველოდა, იტაცებდა ნათალ ხეს და კვლავ თავგანწირვა იყო საჭირო — ყოველი მორი სიცოცხლეზე ნაკლებად როდი ფასობდა... სისხლისა და ოფლის ფასად მეტრი-მეტრს ემატებოდა და... 29 ოქტომბერს კაპიტანმა ციციშვილმა მთავარსარდლობას ხიდის აშენება მოახსენა. ხუთ დღე-ღამეში გაკეთდა ის, რისი გაკეთება ექვს დღე-ღამეშიც კი წარმოუდგენელი იყო!

სასწაული? არა, იგი სამშობლოს განსათავისუფლებლად მებრძოლ ადამიანთა შემართება გახლდათ!

დადგა ყველაზე ამაღელვებელი და პასუხსაგები მომენტი — ხიდის სიმტკიცის გამოცდა. კაპიტანი ციციშვილი უხმოდ გაემართა ნავისაკენ. ის იყო, თოკს ასაშვებად მისწვდა, ვიღაცის ხელი იგრძნო მხარზე. არმიის საინჟინრო ჯარების უფროსი, გენერალ-მაიორი ნიკოლოზ კრისანოვი, მამაშვილურად უღიმოდა. ირაკლი მიხვდა, გენერალი მასთან ერთად აპირებდა ხიდის გამოცდის რიტუალის შესრულებას.

ნავი ნელ-ნელა მოშორდა ნაპირს და მდინარის შუაგულში ხიდის ქვეშ გაჩერდა — საყრდენ ბოძს გამოაბეს...

ორი ოცდაათტონიანი ტანკი ხრჭიალით შედგა ხიდზე...

დაიძაბა ხიდი, დაიძაბა ათასობით ადამიანის ნერვები.

ყველა ხიდს შესცქეროდა, გენერალსა და კაპიტანს კი დნეპრის ტალღებისათვის მიეპყროთ თვალი. ტანკებმა გრიალით გაიარეს ხიდზე და... მიდამოს მძლავრი ვაშა მოედო.

პირველსავე ღამეს დნეპრის მეორე მხარეზე გადავიდა 158 ტანკი, 1337 ქვემეხი, 1595 ავტომანქანა და ათასობით ჯარისკაცი. გაიარა კიდევ რამდენიმე დღემ და 6 ნოემბერს უკრაინის დედაქალაქის თავზე წითელი დროშა აფრიალდა.

ამ დიდ გამარჯვებაში ერთი თბილისელი ჭაბუკის წვლილიც დაფასდა — კაპიტან ირაკლი ციციშვილს უმაღლესი მთავარსარდლობის ბრძანებით საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა...

რევაზ მაჭავარიანი



ჩემი თბილისი. ედუარდ გიგილაშვილის ფოტო

საბჭოთა გეჭდვითი სიტყვის დღის აღსანიშნავად

4 მაისს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მცირე დარბაზში გაიმართა საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა, რომელიც მოაწყეს საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტმა, რესპუბლიკის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობამ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა.

სხდომა გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა **სერგო რიგვავამ.**

მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ **გიორგი ბედინეიშვილმა.**

სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის პრეზიდიუმის დადგენილებით პრესაში ხანგრძლივი მუშაობისათვის სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის საპატიო სიგელებით დაჯილდოვდა ჩვენი რესპუბლიკის აქტივისტ ჟურნალისტთა დიდი ჯგუფი. საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორმა **დავით მჭედლიშვილმა** სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის პრეზიდიუმის დავალებით დაჯილდოებულთ გადასცა საპატიო სიგელები, მიულოცა მათ და უსურვა დიდი შემოქმედებითი გამარჯვებანი.

საზეიმო სხდომას დაესწრნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გიორგი ძოწენიძე** და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ოთარ ჩერქეზია.**

• • •

საზეიმო სხდომის მონაწილეებმა ნახეს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი — თამაზ ჭილაძის „მოულოდნელი სტუმარი“.

თეატრის ფოიეში მოწყობილი იყო რესპუბლიკის ჟურნალისტთა კავშირის ფოტოსტუდიის ჟურნალისტთა ნამუშევრების გამოფენა.

საპატიო წოდების მინიჭება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 4 მაისის ბრძანებულებით პრესაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის **საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტის** საპატიო წოდება მიენიჭათ:

ახალაიას ხუტა ვასილის ძეს — გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის“ რედაქტორს.

ბეროძეს რუთა (თამარ) ივანეს ასულს — გაზეთ „ქუთაისის“ განყოფილების გამგეს.

ბრინერს ილია მოსეს ძეს — გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ — პასუხისმგებელ მდივანს.

ზურაშვილს ალექსანდრე ვასილის ძეს — გაზეთ „კომუნისტის“ ანყოფილების გამგეს.

პაპიაშვილს გიორგი დავითის ძეს — ჟურნალისტს.

პორტნოის სამუელ ზალმანის ძეს — გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ განყოფილების გამგეს.

ყურაშვილს გიორგი შიოს ძეს — გაზეთ „ქუთაისის“ რედაქტორის მოადგილეს.

შვარცმანს მიხეილ იაკობის ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტოს უფროს რედაქტორს.

ფალავანდიშვილს რიურიკ ივანეს ძეს — გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ რედაქტორის მოადგილეს.

ჭიაურელს ვლადიმერ ივანეს ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტოს დირექტორს.

გაზაფხული გმირთა სოფელში

კახეთში გაზაფხული ყველაზე ადრე ლაგოდეხის რაიონში დგება. ამ მადლიან მიწაზე ფრთხილად შემოდის გაზაფხულის ნათელი ფერები. ბუნების უხილავი მხატვარი ჯერ მთის ფერდობთა ყურო ადგილებს შეაპარებს მწვანე ხავერდს, მერე მთიდან დაშვებული ნაკადულების ანკარა წყალს რაღაც დურდოს შეურევს და გლეხკაცს ბუნების ამ ანბანით აცნობებს, რომ ზამთარმა გუდა-ნაბადი აიკრა. მიწას ოხშივარი ასდის და მისი გამთბარი გული გლეხკაცის მარჯვენის ამაგს თხოულობს, თესლსა და მთესველს ელის. როცა ცივ-გომბორის მთების კალთებზე ჯერ ისევ თოვლია, ალაზნის მარცხენა ნაპირზე გაშლილ ველზე ხეთა კვირტები ასაფეთქებლად იბერებიან, ვაზები სატირლად ემზადებიან...

ამ დროს უნდა მოინახულოთ ლაგოდეხელთა საკოლმეურნეო მინდვრები... მოხუცი თუ ახლად წამოჩიტული, წვერ-ულვაშ აუშლელი ჭაბუკები დილიდან საღამომდე მინდორსა თუ ბაღ-ვენახებში არიან. ამ დროს აქაურ სოფლებში დღისით მასპინძელს ვერ იპოვით.

კახეთის სხვა რაიონებთან შედარებით აქ სულ სხვა ყაიდის სამუშაოებია — ერთნი კვალსათბურებში თამბაქოსა თუ რეჰანის ჩითილების გამოყვანაზე მუშაობენ, მეორენი საბოსტნე ნაკვეთებს ამზადებენ, მესამენი თამბაქოს უხვი მოსავლის თადარიგს იჭერენ.

...სოფელ შრომაში მეგზურობა რაიონული გაზეთის მუშაკმა ედვარდ გოგოსაშვილმა იკისრა.

— თავმჯდომარე დილაუთენია მინდორში წავიდა, — გვითხრეს კანტორაში, — დაიგვიანეთ, გვიან საღამომდე აღარ მოვა.

კავკასიონის მწვერვალებს ჯერ ერთი მეტრითაც არ ამოსცდენია მზე, მინდვრის მგალობელნი ის იყო აჟღურტულდნენ და „დაიგვიანეთო“?

არც ბრიგადირი, არც აგრონომი, არც ინჟინერ-მექანიზატორი — სოფელში მათი ჭაჭანება არ არის — მეცხრე ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის დიდი მოსავლის მოყვანისათვის ლამჭრობა დაიწყო და აქაური კოლმეურნეებიც სტარტზე დგანან.

— შარშან, — გვითხრა პარტიული კომიტეტის მდივანმა, სანერგეებში რომ შევხვდით, — კოლმეურნეობამ სამეურნეო წელი წარმატებით დაამთავრა. მარტო მისმა ფულადმა შემოსავალმა მილიონ 400 ათას მანეთს გადააჭარბა. წლეულს კი 1,5 მილიონი მანეთის შემოსავლის მიღებას ვვარაუდობთ. ამის შესრულების გარანტიას იძლევიან კარგად მოვლილი და ნაკვები ძროხა, ღორი და ფრინველი, საკოლმეურნეო ბაღ-ვენახები, საშემოდგომო ხორბლის ნათესები, თამბაქოსა და რეჰანის მომავალი პლანტაციები, მეურნეობის სხვა დარგები და კოლმეურნეთა დაუღალავი შრომა.

...სოფლის მოასფალტებულ გზაზე მსუბუქად მიგვაჭროლებს ავტომანქანა. უკან რჩებიან ქვითკირის ლამაზი ორსართულიანი სახლები. ბევრი მათგანის სახურავზე ტელევიზორის ანტენაა აღმართული. საშუალო სკოლის ეზოში ბავშვები ჟრიამულობენ, მაღაზიაში კი ნოჭრები დახლებზე დაყუდებულან და დილის მუშტარს ელიან, უსაქმურობით თავმობეზრებული დალაქები უღიმღამოდ ამთქნარებენ, მაგრამ მათი მუშტარი მინდორშია. გაზაფხულის კარგ ამინდს ეშურებიან, რადგან აქ გაზაფხულობით ამინდი სწრაფად იცვლება — მზე უცებ მოიბურება და ხეობებიდან წამოსული ღრუბლები შხაპუნად იცლება.

მინდვრიანს გავცდით და ტყიანი ბექობის თავზე, სუროშემოსვეული თელებისა და წიფლების სიღრმეში ბებერი ციხის ნანგრევები შევნიშნეთ.

— ეს ლაგოითის ციხის ნანგრევებია, — მეუბნება მეგზური.

— ალბათ ამიტომ ჰქვია ლაგოდეხი ამ ქალაქს, არა?

ძველ დროს ჰერეთის დედაციხედ ითვლებოდა თურმე ეს სიმაგრე, შიშიანობის დროს დიდგვაროვანთა ჯალაბი აქ აფარებდა თავს. ჰერეთის კარის ციხე კი, მტერს პირველ დაშხვდურად რომ ეგებებოდა, აზერბაიჯანის ქალაქ ნუხის დასავლეთით იყო აშენებული.

ნანგრევებთან ავედით; ხელისგულივით მოჩანს ძველი ჰერეთის მთელი მიდამო, რომელიც ალაზნის მარცხენა სანაპიროდან აზერბაიჯანის მდინარე ეგრის მარჯვენა სანაპირომდე არის გადაჭიმული. მტრის ურდოების გაუთავებელმა შემოსევებმა პირისაგან მიწისა აღგავა მოსახლეობა. მიდამო გაუკაცურდა და ეკალ-ბარდით დაიფარა, დღეს კი ბაღნარად არის გადაქცეული, აყვავებული, თავისუფალი და ბედნიერი მხარე...

კოლმეურნეობის მეორე ბრიგადის სახნავ ფართობებში ტრაქტორები გუგუნებენ. აქ არიან კოლმეურნე მანდილოსნებიც. გზაში საშუალოზე მაღალი კაცი შემოგვეყარა, ხელში ახლად გაფოთლილი წნორის ტოტების კონა ეჭირა, თავაზიანად მოგვესალმა და გვერდი აგვიარა.

— სოციალისტური შრომის გმირი გერონტი ვაჩაძეა. დიდ სამამულო ომში ფაშისტური გერმანიის ჯარების დამარცხებამდეც მიუძღვის წვლილი, — გვითხრა ალექსანდრემ.

— კოლმეურნეობაში ეს ერთი კაცი გყავთ სოციალისტური შრომის გმირი?

— არა, ბატონო, ჩვენს „შრომას“ გმირთა სოფელს ეძახიან რაიონში. აქ, აი ამ მინდვრებში, პატიოსანი შრომით 32-მა კოლმეურნემ დაიმსახურა ეს საპატიო წოდება და ბევრი მათგანი დღესაც ფნერგიულად შრომობს საკოლმეურნეო დოვლათის შესაქმნელად. მაგალითად, ეთერ კამარიძემ გმირის წოდების მინიჭების შემდეგ სამჯერ კიდევ დაიმსახურა ლენინის ორდენი, შარშან ისევ თამბაქოში მუშაობდა და 1 ტონა მოსავალი მიიღო. იოსებ და ნიკოლოზ ზურაშვილები, ტასო ლომაძე, მელქო ხარებაშვილი და სხვები კვლავ თამბაქოს მოყვანაზე შრომობენ. მათ შარშან თამბაქოსა და რეჰანის უხვი მოსავალი მიიღეს. მარტო ხარებაშვილმა მოწინავეთა მხარდამხარ წარმატებით შრომობენ ხანდაზმული პენსიონერი კოლმეურნე, სოციალისტური შრომის გმირი იოსებ ქადაგიშვილი და ციალა ჯანაშვილი. შარშან ციალამ 0,7 ჰექტარზე 2 ტონა თამბაქო მოიყვანა. იოსებ ქადაგიძემ კი 1975 კილოგრამი მშრალი თამბაქო ჩააბარა კოლმეურნეობას. ეს 600 კილოგრამით აღემატება ჩვეულებრივ მოსავალს.

შრომის გმირთა მაგალითებით გახალისებულმა კოლმეურნეებმა თანმიმდევრულად ამრავლეს საერთო-სახალხო ხვავი და ბარაქა. სახე შეუცვალეს სოფელს, მინდორ-ტყეს, ღონიერმა სოფელმა მძლავრი მხრებით გაარღვია საუკუნეებით გამეფებული წყვდიადი, სოფლის მშრომელთა ყოფას რომ აწვა მაჯლაჯუნასავით და ახალი ყოფა დაამკვიდრა. აქ აღარავის უკვირს, რომ სოფლის ექიმი თუ მასწავლებელი, აგრონომი თუ ინჟინერი, ეკონომისტი თუ ბეითალი ადგილობრივი მკვიდრნი არიან, რომ ყველა მათგანი აქაური გლეხკაცის შვილია...

...ომახიანად შრომობენ, ჩაუქად ტრიალებენ კვალსათბურებში მეორე ბრიგადის კოლმეურნეები. ანზორ მოსაშვილი, რომელიც ბრიგადას ხელმძღვანელობს, კვალსათბურებს შორის იდგა და კოლმეურნეებს რაღაც რჩევას აძლევდა.



ბრიგადაში 70 კოლმეურნეა. აქ კი კვალსათბურებს ოციოდე კაცი თუ დასტრიალებს თავს.

— გაზაფხულმა საქმის მოძალება იცის; — მოიბოდიშა ბრიგადირმა, — ამ დროს სტუმრებმაც უნდა გვაპატიოთ. ხომ იცით, ერთი მომენტიც რომ გავუშვათ ხელიდან, ჩითილი წაგვიხდება, — ეს სიტყვები ბრიგადირმა ისე გვითხრა, საქმისთვის ხელი არ შეუშვია...

კვალსათბურების ჩარჩოები აუხდიათ და ჩითილს ფუტკარივით დასტრიალებენ დარეჯან და რუსუდან კოჭლამაზაშვილები, მაყვალა ყაველაშვილი, შუშანა დარჩიაშვილი, მაყვალა ხელაშვილი, ლილი ცხოვრებოვი და... ვინ მოთვლის მათს სახელებს. ერთნი ჩითილს ათხელებენ — მარგლავენ, ხეორენი რწყავენ, იქვე ტრაქტორები გუგუნებენ — მექანიზატორები ზურაბ და ვლადიმერ ბეკოშვილები, სერგო ნიკოლაიანი და სხვები საპლანტაციო ნიადაგს ხნავენ, ცოტა ქვემოთ უფრო ხანში შესული კოლმეურნეები სარწყავ არხებს ასუფთავებენ.

ეს მხოლოდ ერთი რგოლის სამუშაო უბანია. აქ შენობის კედელზე ოქროს ასოებით დაუწერიათ: „წლეულს რგოლის წევრები იბრძვიან იმისათვის, რომ გეგმით გათვალისწინებული 18 ცენტნერის ნაცვლად თითოეულ ჰექტარზე 22 ცენტნერი თამბაქო მოიყვანონ!“

დიდი და პატარა ჩითილების რგვაზე მუშაობს.

ნათქვამია, მგელი არ მოშლის მგლობასა, კარგი ყმა ვაჟკაცობასაო. ესეა, სოციალისტური შრომის გმირმა მიხეილ ლომიძემ დიდხანს უყურა კოლმეურნეობაში სიმინდის ჩოყვანის წესებს და დასკვნა, რომ ამ წესით სიმინდის მოსავალს ვერ გაადიდებდნენ. საქმე ის იყო, რომ სიმინდის მოყვანა მთამბაქოეებს ევალებოდათ, მაგრამ ამ ორი კულტურის ერთი კაცის ხელში თავმოკრა კარგ შედეგს არ იძლეოდა. თამბაქოს პლანტაციაში მომუშავე სიმინდის ნათესს თავის დროზე ვეღარ უვლიდა და ცხადია...

მიხეილმა კოლმეურნეობის გამგეობას სთხოვა სიმინდის მოსყვანი ბრიგადა ცალკე შექმნათ.

გამგეობამ სიმინდის მომყვანი კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელად ამ აქმის წამომწყები დანიშნა. ბრიგადა 14 კოლმეურნით, 2 ტრაქტორითა და 1 კომბაინით დაკომპლექტეს. შარშან 130 ჰექტარზე დათესეს სიმინდი და თითოეულ ჰექტარზე 30 ცენტნერი მარცვალი მოიყვანეს. პირველად გამოიყენეს კომბაინი, რომელიც სიმინდს მარცვლად იღებს.

ამ პატარა, გამრჯე კოლექტივმა ნაწვერალზე 60 ჰექტარი სიმინდი დათესა და ტაროს სიმწიფეში შესვლა აცალა. თითოეულ ჰექტარზე 26 ცენტნერი მოსავალი აიღო.

ბრიგადა მინდორშია. გლეხკაცის ალალი მარჯვენა მშობლიური მიწის გამთბარ მკერდს სამედოდ აბარებს ჯანსაღ თესლს, თითო ჰექტარზე სამტონანახევარი მოსავლის მოყვანას ვარაუდობენ მესიმინდე ბერიკაცები და სოფელში სჯერათ მათი მართალი სიტყვისა.

მეექვსე ბრიგადის 243 ჰექტარ ჯეჯილში სატრაქტორო აგრეგატები გუგუნებენ. ისინი თეთრ, რძესავით ჯანღს აყენებენ მწვანე ხავერდის თავზე — მემინდვრეები ჯეჯილებს მინერალურ საკვებს აწვდიან და ნათესებს ზრუნვას არ აკლებენ, რომ თითოეულ ჰექტარზე 19 ცენტნერი მოსავალი მოიყვანონ. ეს მათი საქვეყნოდ დადებული პირობაა.

მეორე ნაკვეთში გადასასვლელად რომ მივდიოდით, გზად ინჟინერ-მექანიზატორი ვალოდია მანაგაძე შემოგვხვდა. ყველა 29 ტრაქტორი გამართულად მუშაობსო, მოახსენა პარტიული კომიტეტის მდივანს. მოიბოდიშა, მეჩქარებაო და გზა განაგრძო.

კოლმეურნეობის ვენახებში გადავუხვიეთ. 41 ჰექტარ ზვრებში ჩამდგარან ჭაღარაშერეული ვაჟკაცები: პავლე კაპანაძე, შალვა ნატროშვილი, დომენტი ქველაძე, ვანო მაისურაძე და სხვები. ისინი სათაყვანებელი ვაზის თითოეულ ძირს მართლა შვილივით ელოლიავებიან, რომ ვაზში ატირებული წვენი შემოდგომაზე ლალისფერ შარბათად აქციონ და ახლად შეუღლებულ წყვილთ ბედნიერი კერის ფუძე დაულოცონ, ხოჭიჭში ატირებულ პატარას არწივის შემართება და ბედნიერი ცხოვრება უსურვონ, მამულს კი — მშვიდობა და ძლიერება.

თითოეული ჰექტარიდან 5 ტონა ყურძენს ჩაგაბარებთო, — პარტორგსა და ბრიგადირს პირობა მისცეს ბერიკაცებმა და ისევ ვაზებს მიუბრუნდნენ.

შემოდგომით მოხნულ ნიადაგში სასუქები დროულად შეუტანიათ, სარ-მავთულიც წესიერად გაუსწორებიათ, სარწყავი არხები გაუწმენდიათ, დღეს კი წალამი გამოაქვთ ვაზთა რიგებიდან...

მოხუც მევენახეებს შვილის ნუკრებივით ასდევნებიან შვილიშვილები და ვენახის თავებში ყვავილოვან მდელოზე ჭიამაიას ეხვეწებიან, გაფრინდიო.

გაზაფხულია გმირთა სოფელში, სიკეთისა და ათასი ბედნიერების მომტანი გაზაფხული!

გიორგი გოჩიტაშვილი



საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობის წარსულიდან

ქართული ისტორიული ძეგლები ასტრახანში

საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ქალაქ ასტრახანს გარკვეული ადგილი ეკუთვნის. ასტრახანი რუსეთის სახელმწიფოს სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვარზე უმნიშვნელოვანეს სამხედრო-სტრატეგიულსა და სავაჭრო პუნქტს წარმოადგენდა, ამდენად XVII-XVIII საუკუნეებში ამ ორ ქვეყანას შორის დამაკავშირებელი ერთ-ერთი ცენტრი იყო.

ასტრახანზე გადიოდა რუსეთის გზები ჩრდილო კავკასიასა და ამიერკავკასიაში, საქართველოში, სპარსეთსა და შუა აზიაში. აქ იყრიდა თავს შორავალი ქვეყნიდან ჩამოსული ვაჭარი, აქ ჩერდებოდნენ გზად მიმავალი ელჩები და პოლიტიკური მოღვაწენი. აქ უცხოვრია არაერთ სახელოვან ქართველს, გამოჩენილ სახელმწიფო და კულტურულ მოღვაწეს — არჩილ მეფეს, ვახტანგ მეექვსეს, სულხან-საბა ორბელიანს, თეიმურაზ მეორეს, გაიოზ რექტორსა და სხვებს. ეს დიდი ისტორიული მნიშვნელობის, მრავლისმთქმელი ფაქტებია და ნათელი დადასტურებაა იმ მჭიდრო კავშირისა, რომელიც საქართველოსა და რუსეთს შორის საუკუნეთა მანძილზე არსებობდა.

ამ ქალაქში დასაფლავებულია XVIII საუკუნის ორი გამოჩენილი ქართველი მოღვაწე — ვახტანგ VI და თეიმურაზ II.

ვახტანგ VI, ქართული კულტურის დიდი მოამაგე, 1703-1724 წლებში ჯერ ქართლის გამგებელი, შემდეგ კი მეფე იყო. ვახტანგის სახელთან არის დაკავშირებული ისეთ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებათა განხორ-



ვახტანგ VI

ციელება, როგორიც არის პირველი ქართული სტამბის დაარსება თბილისში (1709 წელს) და შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის პირველი მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემა (1712 წელს), საქართველოს ისტორიის შესწავლა-გაშუქების საქმის აღორძინება, ქართული სამართლისა და ქართული ადმინისტრაციულ-სამეურნეო წესდების დამუშავება, ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების განვითარების დარგში გარკვეული წარმატება, არაერთი საინტერესო პოეტური ნაწარმოების შექმნა, ჰუმანური იდეების, ქალთმოყვარეობისა და სასარგებლო საქმიანობის ქადაგება და სხვა. მაგალითისათვის ავიღოთ ვახტანგის „შეგონების“ მოტივი:

„კაცმან უნდა თავის საქმე ყველა ღვთითა მოივარგოს,
ამ სოფელსა ხელი ჰყაროს, იქაც ბარგი დაიბარგოს,
მოყვარეთ და ამხანაგთა თავის რიგით რამე არგოს,
სახელის ხე საჩრდილობლად წყლისა პირსა სამე დარგოს“.

ვახტანგ მეექვსის პოლიტიკური მოღვაწეობა მიზნად ისახავდა ქვეყნის განთავისუფლებას უღლისაგან. ამ ამოცანის მისაღწევად მან მტკიცედ აირჩია რუსეთის ორიენტაციის კურსი. რუსეთთან პოლიტიკური და კულტურული დაახლოება ვახტანგ მეექვსის არსებითი პოლიტიკური პროგრამა იყო, რასაც საფუძვლად ედო საქართველოს, ქართველი ერის გადარჩენა-გაერთიანებაზე ფიქრი და ზრუნვა.

მაგრამ, როგორც ვიცით, ვახტანგმა თავის და ქართველი ერის ძირითად მიზანს — უცხო დამპყრობთაგან ქვეყნის განთავისუფლებას — ვერ მიაღწია, ურიცხვ გარეშე და შინაურ მტერთან უთანასწორო ბრძოლაში ქართლის მეფე დამარცხდა და იძულებული გახდა გასცლოდა სამშობლოს. 1724 წელს ივლისში ვახტანგ მეექვსე ოჯახითა და დიდი ამალით (1 200 კაცი) რუსეთში გადასახლდა.

1735 წელს ვახტანგი ასტრახანს დასახლდა, სადაც 1737 წლის 26 მარტს გარდაიცვალა. ქართლის მეფე ასტრახანის მიძინების ტაძარში დაკრძალეს. იმავე ტაძარში 1762 წლის 4 ივნისს დაკრძალეს თეიმურაზ II.

თეიმურაზი კახელ ბაგრატიონთა შტოს ეკუთვნოდა. მას ცოლად ჰყავდა ვახტანგ VI ასული — თამარი. 1709-1715 წლებში იგი კახეთის გამგებელი იყო, 1733-1744 წლებში კი — კახეთის მეფე. 1744 წელს თეიმურაზი ქართლის სამეფო ტახტზე ავიდა, ხოლო კახეთში თავისი ვაჟი ერეკლე II გაამეფა, რითაც შეიქმნა ქართლისა და კახეთის გაერთიანების შესაძლებლობა. მაგრამ ამ საქმეს ქართლელ თავადთა ოპოზიცია ეღობებოდა. თეიმურაზითა და ერეკლეთი უველა უკმაყოფილო პირი ქართლის სამეფო ტახტზე ვახტანგ მეექვსის შთამომავალთა (როგორც კანონიერ მემკვიდრეთა) დასმის იდეას უტრიალებდა. ქართლელ ბაგრატიონთა რესტავრაციის უველა ეს იდეა უკვე რეგრესულ ხასიათს ატარებდა, რადგან თეიმურაზი და ერეკლე აღმოსავლეთ საქართველოს ფაქტიური გაერთიანებით საერთო ეროვნულ პოლიტიკას ახორციელებდნენ. გასაგებია, რომ რაკი ვახტანგ მეექვსის შთამომავლები რუსეთის მფარველობაში იმყოფებოდნენ, აღმოსავლეთ საქართველოში გამეფებულ მამაშვილს განსაკუთრებით აინტერესებდათ რუსეთის მთავრობის მხრივ თეიმურაზ მეორის ქართლის მეფედ ოფიციალურად ცნობა. ამით რუსეთი ხელს აიღებდა ვახტანგ მეექვსის შთამომავლებისათვის პოლიტიკურ მხარდაჭერაზე, ხოლო ერეკლე მეორეს ქართლ-კახეთის სამეფო ტახტის მემკვიდრედ აღიარებდა.

ვახტანგის მემკვიდრეობის მაძიებელთა პოლიტიკური პოზიციების დასუსტება, თავის მხრივ, არსებითად შეარყევდა ბაგრატიონთა ჯახური შტოსადმი მტრულად განწყობილი ქართლელი თავადების ოპოზიციას, რაც ობიექტურად პროგრესული მოვლენა იქნებოდა დაქუცმაცებული საქართველოს გაერთიანების გზაზე.

1752-1754 წლებში ქართლ-კახეთის ელჩობის ფაქტიურმა მარცხმა განაპირობა რუსეთში თვით თეიმურაზ მეფის გამგზავრება.

1760 წლისათვის ირანში შექმნილი ვითარება მოითხოვდა ირანის საქმეებში ქართველი მეფეების ჩარევას. ქართლ-კახეთის მხრივ შაჰის ტახტის ამა თუ იმ პრეტენდენტისათვის მხარის დაჭერას გარკვეული როლი უნდა შეესრულებინა თვით საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობაში. ამ ვითარებაში ქართველმა მეფეებმა, ბუნებრივია, გადაწყვიტეს რუსეთის მთავრობასთან წინასწარ შეეთანხმებინათ თავიანთი ნაბიჯი, რათა, ერთი მხრივ, რუსეთი ჩაებათ ირანის საქმეების მოგვარებაში და მისგან ფინანსიური დახმარება მიეღოთ, ხოლო, მეორე მხრივ, მიეღწიათ ქართლის მეფედ თეიმურაზის ოფიციალური აღიარებისათვის. ყოველივე ამის გამო თეიმურაზმა მთელი 1761 წელი რუსეთში დაჰყო.

რუსეთის საიმპერატორო კარზე თეიმურაზ მეორეს თავის სიდარბაისლითა და სილამაზით დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია. იმპერატორ ელისაბედ პეტრეს ასულის დავალებით ცნობილ რუს მხატვარს ა. ანტროპოვს თეიმურაზის პორტრეტი ფერებში დაუხატავს, ხოლო გრავიორებმა ე. ვინოგრადოვმა და ა. გრეკოვმა ეს პორტრეტი სპილენძის ფირფიტაზე ამოჭრეს 1761 წლის 21 ივნისს თეიმურაზ მეორის მიერ რუსეთის აკადემიის სტამბის დათვალიერების დღეს. აქ აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ქართველი მეფის პატივსაცემად სტამბის მოსამსახურეებმა მას მისალმების საგანგებო ტექსტითაც მიმართეს. ეს ტექსტი ქართულ და რუსულ ენებზე სტამბური წესით იყო დაბეჭდილი.

თეიმურაზ მეორე უკვე სამშობლოში დაბრუნებას აპირებდა, როცა 1762 წლის 8 იანვარს უეცრად გარდაიცვალა პეტერბურგში.

ამალის წევრებმა მის ცხედარს ბალზამი გაუკეთეს და საქართველოში დასასაფლავებლად წამოასვენეს, მაგრამ მოსკოვს რომ მოაღწიეს, გზის სიშორისა და მოახლოებული ზაფხულის მომიზეზებით, 1762 წლის 3 მარტს რუსეთის მთავრობას თხოვნით მიმართეს, რათა ნება დაერთო თეიმურაზი დაეკრძალათ ასტრახანის მიძინების ტაძარში, იქ, სადაც განისვენებდა ვახტანგ მეექვსე. რუსეთის მთავრობამ თანხმობა განაცხადა იმ პირობით, თუ ამაზე ერეკლე II დათანხმდებოდა.

1762 წლის მაისის ბოლოს თეიმურაზის ცხედარი ასტრახანს ჩაასვენეს და 4 ივნისს მიძინების ტაძარში დაკრძალეს. ამ აქტით ხაზი გაესვა თეიმურაზ მეორისა და ვახტანგ მეექვსის თანასწორობას, და ამდენად ერთგვარი პოლიტიკური აქცია იყო ქართლ-კახეთისა და საერთოდ საქართველოს გაერთიანების სარბიელზე, რასაც იმდროინდელმა რუსეთმა შეუწყო ხელი.

მოუსვლელობის გამო ვახტანგისა და თეიმურაზის სამარხთა ძეგლები და წარწერები ჯერ კიდევ XIX საუკუნეში დაიღუპა.

ამჟამად ასტრახანის მიძინების ტაძარი, როგორც XVII საუკუნის მიწურულისა და XVIII საუკუნის დასაწყისის რუსული კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლი, ასტრახანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს გადაეცა. ძეგლი, რომელიც ადრე სათანადო მოვლა-პატრონობას მოკლებული იყო, დღეს დიდ სარესტავრაციო სამუშაოებს განიცდის.

ტაძრის ქვედა სართულში, სადაც ვახტანგ VI და თეიმურაზ II არიან დაკრძალულნი, არქეოლოგიური სამუშაო გაშალეს, რისთვისაც მოსკოველი სპეციალისტები მოიწვიეს და აღდგენითი სამუშაოები დაიწყეს. მუშაობის შედეგად ძველი, XVI საუკუნის დროინდელი საყდრის აბსიდები და კედლების ნარჩენები აღმოაჩინეს.



თეიმურაზ II

ასტრახანის მუზეუმის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ საგანგებოდ მოაწყოს ქვედა სართული, სადაც აღმოჩნდა ძველი საყდრის ნაშთები და სადაც ქართველ მეფეთა საფლავები მდებარეობენ. გადაწყვეტილია მოეწყოს სპეციალური გამოფენა — „საქართველო და ქართული კულტურა XVIII საუკუნეში“. ვარაუდობენ, რომ საკმაოდ დიდი რაოდენობით ეყოლებათ დამთვალიერებლები, რადგან ასტრახანის მიძინების ტაძარი ტურისტულ მოგზაურობათა გეგმით გათვალისწინებულ დასათვალიერებელ ობიექტთა რიცხვს მიეკუთვნა.

ამასთან დაკავშირებით დაისვა საკითხი, რომ გაეხსნათ ვახტანგ VI და თეიმურაზ მეორის აკლდამები, მათი ნეშტი ახალ ადგილას (იმავე ტაძარში) გადაესვენებინათ და გაემზადებინათ საფლავების სათანადო წარწერები. ყოველივე ამის გამო ასტრახანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელმძღვანელობამ წინადადებით მიმართა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტს, რომ მონაწილეობა მიეღო ამ სამუშაოებში. ინსტიტუტის დავალებით ასტრახანს გაემგზავრა ჯგუფი შუა საუკუნეების არქეოლოგიის განყოფილების გამგის, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის ვახტანგ ჯაფარიძის, ამავე ინსტიტუტის მეცნიერული ფოტოფიქსაციის ლაბორატორიის გამგის ნიკოლოზ არჩვაძისა და ჩემი შემადგენლობით. 17-19 თებერვალს აღნიშნული სამუშაო — აკლდამების გახსნა და ნეშტების ახალ ადგილზე გადასვენება ჩვენი მონაწილეობით განხორციელდა. ცხადია, ყოველივე ამის გამო, მოვახდინეთ ვახტანგისა და თეიმურაზის საფლავების მეცნიერული შესწავლა და ფოტოფიქსირება. ეს მასალა ამჟამად გამოსაქვეყნებლად მზადდება.

ასტრახანის მიძინების ტაძარში კი დაიწყო აღდგენითი მუშაობის ახალი ეტაპი. ვახტანგ VI და თეიმურაზ II საფლავების სათანადო გაფორმებისა და გამოფენის მოწყობის საქმეში აქტიურად მონაწილეობენ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, საქართველოს სომონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმი და საქართველოს ძეგლთა დაცვის საზოგადოება.

გიორგი პაიჭაძე,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

მარიამ გარიყულის დაბადების 90 წლისთავის გამო

მწერალი და მოქალაქე

XIX-XX საუკუნეების მიჯნა უაღრესად დაძაბული და შინაარსით მდიდარი ეპოქა იყო ჩვენი სამშობლოს ისტორიაში. ეს გახლდათ დრო, როცა იწყებოდა დიადი შემობრუნება, იწყებოდა ახალი ეტაპი მძაფრი ბრძოლისა ხალხთა უკეთესი მომავლისათვის.

ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე მარიამ გარიყული (1883-1960) ამ რევოლუციური გარდატეხების ეპოქის შვილი იყო.

მწერლის მთელ შემდგომ ცხოვრებაზე, მისი მსოფლმხედველობის ფორმირებაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა იმ გარემოებამ, რომ იგი ბავშვობის წლებიდან რევოლუციის გამაცოცხლებელი ჰაერით სუნთქავდა.

მარიამ გარიყული გახლდათ ჭეშმარიტი მემკვიდრე იმ შესანიშნავი რეალისტური ტრადიციებისა, რომლებიც ქართულ ლიტერატურაში დაამკვიდრეს ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა.

ამ ტრადიციათა შორის მთავარი იყო ჰუმანიზმის მაღალი გრძნობა, ულრმესი სიყვარული ადამიანისადმი, სამშობლოს მგზნებარე ტრფიალი, უკეთესი მომავლის რწმენა და დაუცხრომელი ბრძოლა უოველივე ბოროტთან, ძველთან, დახავსებულთან, რაც ხელს უშლიდა ადამიანის წინსვლას ნათელი მომავლის გზაზე. ჩვენი კლასიკური რეალიზმი თავისი ბუნებით მებრძოლი და თაობათა გამომაფხიზლებელი იყო და მისი ეს მხარე, გასაგებია, რომ კიდევ უფრო წინ წამოსწია, გააფართოვა, გაალრმავა პირველი რევოლუციის ეპოქამ.

ქართული კლასიკური რეალიზმის ტრადიციებთან ერთად მარიამ გარიყულისათვის უმთავრესი შთაგონების წყარო იყო მოწინავე რუსული ლიტერატურა, კერძოდ, მაქსიმ გორკის შემოქმედება. მწერალი თავის მემუარებში წერს: „ახალგაზრდობაში გორკით ვიყავი გატაცებული და მან დიდი გავლენა მოახდინა ჩემი ლიტერატურული გემოვნებისა და საერთოდ მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში“.

მარიამ გარიყულის ოქტომბრის რევოლუციამდელი ნაწარმოებები ნათელი მაჩვენებელია იმისა, თუ როგორ გადადიოდა კლასიკური რეალიზმის ტრადიცია ახალ საფეხურზე, სოციალისტური ლიტერატურის საფეხურზე.


იმ ხანებში სამწერლო ასპარეზზე გამოდიოდა მთელი თაობა, რომელმაც უაღრესად დიდი როლი შეასრულა ქართული ლიტერატურის ისტორიაში; ეს იყო თვისობრივად ახალი ლიტერატურა, სისხლითა და ხორცით დაკავშირებული ხალხთან. ამ ახალი თაობის ბელეტრისტები იყვნენ მიხეილ ჯავახიშვილი, ლეო ქიაჩელი და ნიკო ლორთქიფანიძე. ამავე თაობას ეკუთვნოდა მარიამ გარიყული. მისი პირველი მოთხრობებიც გამსჭვალული იყო იმ ძლევამოსილი სიყვარულით ადამიანისადმი, რომელიც გულისხმობდა არა მარტო შეცოდებას ჩაგრულისას, არა მარტო პასიურ თანაგრძნობას, არამედ უჩვენებდა ბრძოლის გზას, გამარჯვების გზას.

მარიამ გარიყულის ადრინდელ ნაწარმოებთაგან აქ გვინდა გავიხსენოთ „სოფლის მსუნაგები“, „ჩვეულებრივი ამბავი“, „იმ დღეებში“, „ჯაშუში“, „ჩინოვნიკი“, „ახალი მასწავლებელი“. ეს მოთხრობები ფრიად დამახასიათებელია მწერლისათვის როგორც თემატიკის, ისე მხატვრული შესრულების თვალსაზრისით. ავტორმა მძაფრი შტრიხებით გადმოგვცა მთელი ტრაგედია იმ დღეებისა, როცა დამარცხდა პირველი რევოლუცია და ბნელი რეაქცია გაბედა.

საგულისხმოა, რომ ეს მოთხრობები მწერალმა 1905-1907 წლებში გამოაქვეყნა და თავისი ამ დიდი ოპტიმიზმით, იმედიანი ხმით დაუპირისპირდა უველა სასოწარკვეთილს, გზააბნეულს, რომელთაც იარაღი დაუარეს, ზოგნი რეაქციის ბანაკში გადაბარგდნენ, ზოგმა კი პესიმიზმსა და მისტიკაში პოვა თავშესაფარი.

რამ მისცა ძალა ახალგაზრდა მწერალს შეენარჩუნებინა სულის სიმხნევე და შეუდრეკლობა იმ მართლაც მძიმე დღეებში? ეს ძალა მას მისცა ხალხთან სიახლოვემ, რევოლუციურ იატაკქვეშეთის მებრძოლებთან ახლო ურთიერთობამ.

ამრიგად, მარიამ გარიყული ქართველ საზოგადოებას იმთავითვე წარუდგა, როგორც უაღრესად მოწინავე, ჰუმანიზმის სულისკვეთებით გამსჭვალული მწერალი. გიორგი ლეონიძე წერდა: „ცოდნა უბრალო ადამიანებისა ძირეული ამოცანა იყო მხატვრის — გარიყულისა. მარიამს ჰქონდა ჩვეულებრივი საყოფაცხოვრებო სიუჟეტები არა მყვირალა, ეფექტური დაბოლოებებით, არავითარი პათეტიკა და გარეგანი მღელვარება, მხოლოდ მებრძოლი განწყობილება, სიმართლისათვის ბრძოლა იყო მისი მრწამსი. როგორც მწერალი და საზოგადო მოღვაწე, მარიამი შეურიგებელი მოძულე იყო ძალმომრეობისა, იგი იყო ხალხის ინტერესების თავგამოდებული დამცველი, რეალისტი, დემოკრატი მწერალი“.



ბუნებრივია, რომ ქალის ბედი განსაკუთრებით იპყრობდა მწერლის ყურადღებას და გარიყულმა როგორც ფართო მოცულობის, ისე თითქმის მინიატიურულ მოთხრობებშიც („უფლება“, „ცდუნება“, „შენ კი მოელოდნენ“, „ცაბუ“, „რევოლუციის ხმა სოფლად“, „საფირნაზი“, „დონა“) გვიჩვენა, როგორ აწამებდა ქალს ძველი სამყარო, უხშობდა მას ყოველგვარ ადამიანურ სიხარულს.

ყოველ ნაწარმოებში, მოთხრობასა თუ რომანში მწერალი გვევლინება, როგორც დაუცხრომელი მებრძოლი მაღალი ადამიანური მორალისათვის; ის არა მარტო გმობს ძველს, არამედ გვიჩვენებს ახალს, წმინდას, გვიჩვენებს იმ სულიერ სილამაზეს, რომელიც თავისუფალ ადამიანთა სამყაროში დამკვიდრდება. უოველივე ეს ნათლად გამოჩნდა მარიამ გარიყულის მაღალჰუმანური იდეებით გაჟღენთილ მოთხრობებში „საიდუმლო“, „უსინათლო ალექსი“, „ვისი ბრალია?“, „ერთი დამის ამბავი“ და ბევრი სხვა.

სოციალისტურმა რევოლუციამ ლი-მოჭალაქე ამ სიტყვის მაღალი გაგებით. იგი სულითა და გულით შეხაროდა აღორძინებულ და განახლებულ სამშობლოს, ცოცხლად ეხმაურებოდა ჩვენი ცხოვრების უოველ მნიშვნელოვან მოვლენას; დიდი სამამულო ომის წლებში თავისი მხატვრული სიტყვით ამხნევებდა ფრონტზე წასულებსაც და ზურგში დარჩენილებსაც. მისი იმდროინდელი მოთხრობები: „შემთხვევა“, „დედა“ და „დურგალი მიხეილი“ გამსჭვალულია საბჭოთა პატრიოტიზმის უწმინდესი გრძნობით.

ომისშემდგომ წლებში მარიამი კვლავ დაუღალავად შრომობდა, ქმნიდა ახალ-ახალ ნაწარმოებებს ჩვენი ადამიანების ცხოვრებაზე. ის მუდამ ხალხთან იყო, ხშირად ეწვეოდა კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, ფაბრიკა-ქარხნებს, წერდა და აქვეყნებდა ნარკვევებს ჩვენი ადამიანების გმირულ შრომაზე.

სიცოცხლის ბოლო წლებში მან გამოაქვეყნა შესანიშნავი მემუარები „განვლილი გზა“, რომელმაც ცოცხლად აღგვიდგინა თვალწინ ჩვენი ახლო წარსულის უმნიშვნელოვანესი მოვლენები, დაგვიხატა იმ გამოჩენილ ადამიანთა პორტრეტები, რომლებსაც მწერალი თავისი ცხოვრების მანძილზე ხვდებოდა.

მარიამ გარიყული გარდაიცვალა სამოცდაჩვიდმეტი წლის ასაკში. ის ვალმოხდილი წავიდა ჩვენგან. ჩვენმა მკითხველმა გულით შეიყვარა გამოჩენილი ქართველი მწერლის ქმნილებანი.

გიორგი ნატროშვილი

ამაგდარი

11-12 წლისა ვიყავი, ლექსებს ვწერდი. როგორც უველა დამწყებ მწერალს, პროფესიული მწერლის ნახვა მენატრებოდა.

და აი... ქობულეთის პიონერთა ბანაკში სტუმრად ჩამოვიდა ჩვენი ძვირფასი მწერალი მარიამ გარიყული.

მაშინ მარიამის რამდენიმე მოთხრობა მქონდა წაკითხული. მახსოვს, რაოდენ მოკრძალებით, ცნობისმოყვარეობითა და აღელვებული წარვდექი მწერლის წინაშე და რამდენიმე ლექსი წავუკითხე. მარიამმა გულდასმით მომისმინა და მითხრა: ნიჭიერი ყმაწვილი ჩანხარ, თუმცა ჯერ რთული და გრძელი გზა გიდევს წინ. ლექსები სტრიქონ-სტრიქონ დამიმარცვლა და საგულისხმო შენიშვნა მომცა, დამარიგა — შრომა და გულმოდგინება გამარჯვების საწინდარიაო.

მას შემდეგ წელიწადი წელიწადს მიჰყვა, მარიამის თმას ჭაღარა შეეპარა, მეც შევეჩვიე მწერლებთან საუბარს, მაგრამ მარიამის აუღელვებელი დედაშვილური დარიგება უოველთვის მამხნევებს და მაგონდება.

...თავმდაბალი, გულისხმიერი, ახალგაზრდა მწერლების ჭეშმარიტად მოყვარული. მახსოვს, დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავ საიუბილეო საღამოზე ამაგდარ იუბილარს მისთვის მიძღვნილი ლექსით მივმართე. და აი დღესაც დიდი სიყვარულით მინდა შეგახსენოთ ის ლექსი.

ჩვენო მხცოვანო მწერალო,
ჩვენო ძვირფასო მარიამ,
რა უჭირს თმაზე იანვარს,
გულში თუ კარგი დარია.
შენს თვალწინ
დავიბუმბლენით
მგოსანნი ახალ-ახალნი,
დაგვლოცე, დედაშვილობას,
სიტყვა მოგვდევდეს
მჭუხარი.
საბჭოთა საქართველოა
შენი სტრიქონის ჯავარი,
მომავლის შარას გიჩალებს
მისი მზე ამომავალი.
სამოცდაათი წლისა ხარ,
ჩვენო ძვირფასო მარიამ,
წერისთვის,
სიცოცხლისათვის
ათას წელს კიდევ გცალიან.
იცოცხლე, გჭვრეტდეთ
როგორც მთებს,
მხრებზე თეთრ ღრუბელ
შეფენილს
და იყავ საქართველოსებრ
ლაღი და უბერებელი.

იოსებ ნონეშვილი

სასპორტო ქრონიკა

ფეხბურთი

საბჭოთა კავშირის 1973 წლის პირველობაზე თბილისის „დინამომ“ ექვსი მატჩი გამართა. შარმახდელ ჩემპიონს ვოროშილოვგრადის „ზარიასთან“ წარმატების შემდეგ (ეს შეხვედრა „დინამომ“ თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმებით მოიგო), თბილისელები კიეველ თანაკლუბელებთან შეხვედრაში დამარცხდნენ (0:1). სამაგიეროდ, ქართველმა ფეხბურთელებმა პირველსავე გასვლით მატჩში — მინსკის „დინამოსთან“ შეელეს ორი ქულის მოპოვება. ფირუზ რეხვიაშვილის გატანილ ბურთს მასპინძლებმა ვერაფრით უპასუხეს. გამარჯვებას კვლავ მარცხი მოჰყვა, „დინამო“ ანგარიშით 1:3 მოსკოვის „სპარტაკთან“ დამარცხდა. ორ მაისს ლვოვის „კარპატის“ წინააღმდეგ გამართულ მატჩში ქართველმა ფეხბურთელებმა მათთვის ჩვეული შემტევი, ტექნიკური, ლამაზი ფეხბურთი გვიჩვენეს — ზურაბ წერეთელმა დათო უიფიანმა და მურთაზ ბურცილავამ მეტოქის კარში სამი უპასუხო ბურთი გაიტანეს.

მეექვსე ტურში კი თბილისელები გათამაშების ერთ-ერთ ლიდერს, დნეპროპეტროვსკის „დნეპრს“ მასპინძლობდნენ. შეხვედრის პირველი ნახევარი, დინამოელთა უპირატესობის მიუხედავად, უშედეგოდ დამთავრდა. შესვენების შემდეგ მასპინძლებმა კიდევ უფრო მძლავრად შეუტიეს შეტოქეს. თავდამსხმელებსა და ნახევარმცველებს დამცველებმაც აუბეს მხარი. სწორედ ამგვარი, ერთობლივი შეტევის შედეგად იქნა გატანილი პირველი გოლი. მეგობრების იერიშს წერტილი დაუსვა მცველმა ზორბეგ ეგრალიძემ — თავური დარტყმით მან მეტად ლამაზი გოლი გაიტანა. როგორც წინა მატჩებში, ამჯერადაც კარგად ითამაშა ზურაბ წერეთელმა. ახალგაზრდა თავდამსხმელმა სტუმრებს მეორედ დააწუებინა თამაში ცენტრიდან.

დღეისათვის თბილისის დინამოს ექვსი თამაშიდან შვიდი ქულა აქვს. ქართველმა ფეხბურთელებმა მეტოქის კარში თორმეტი ბურთი გაიტანეს, საკუთარში კი შვიდი მიიღეს.

ჭიდაობა

საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეები ამას წინათ იაპონიას ეწვივნენ, იქაური ფალავნებთან სამი შეხვედრა გამართეს და სამჯერვე გაიმარჯვეს.

ტალინში გამართულ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე კლასიკურ ჭიდაობაში თავი ისახელა საქართველოს წარმომადგენელმა შოთა მორჩილაძემ. ქართველმა ფალავანმა, რომელიც მძიმე წონაში მონაწილეობდა, უველა მეტოქე დაამარცხა და ოქროს მედალი მოიპოვა. ვერცხლის მედლებით დაამშვენეს მკერდი ქუთაისელმა ესტატე გოგლიჩიძემ (90 კილოგრამი) და თბილისელმა მიხეილ სალაძემ (100 კილოგრამი).

ძალოსნობა

კვლავ შესანიშნავად ასპარეზობს ჩვენი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი, მიუნხენის ოლიმპიადის ვერცხლის მედლის მფლობელი დიტო შანიძე. მან დონეცკში გამართულ საბჭოთა კავშირის ბირველობაზე. სადაც ქვემსუბუქ წონაში გამოდიოდა, ორი მცირე და ერთი დიდი ოქროს მედალი მოიპოვა.

მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი







გაჩირაღდნებულ დარბაზს ბედნიერ ბავშვთა გალაღებული სიცილ-კისკისი ავსებს... ბაბთიანი გოგონა გაბრწყინებული თვალებით რაღაცას უყვება თანატოლებს, აქეთ გაცხარებული კამათია... წარმოდგენის მოლოდინში არის ერთი ურიამული. აი გაისმის ზარის ხმა და... პატარები განაბულნი ელოდებიან ფარდის ახდას...

ყოველი მომდევნო დღე წინას ჰგავს თბილისის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართულ თეატრში, რომლის არსებობის ისტორია 44 სეზონს ითვლის.

— როგორ შეიქმნა მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი, რომელსაც არც წინაპარი ჰყოლია და არც ისტორია ჰქონია? — ვკითხე თეატრის მთავარ რეჟისორს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს თენგიზ მაღალაშვილს.

— იმ ძნელბედობის ჟამს, როცა საბჭოთა ქვეყანა ახალ ცხოვრებას იწყებდა დიდი მიზნებითა და ენთუზიაზმით, მთავრობა და პარტია არ ივიწყებდნენ ბავშვებს. ლოზუნგად გაისმა მოწოდება — ხელოვნება, თეატრი, ყველაფერი ბავშვებს! პირველი ბავშვთა თეატრი შეიქმნა რუსეთში. სულ მოკლე ხანში მოზარდთა თეატრები დაარსდა სხვადასხვა რესპუბლიკაში. თბილისში 1927 წელს შეიქმნა ექსპერიმენტული საბავშვო თეატრი, რომელიც 1928 წელს დამტკიცდა მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართულ თეატრად. თეატრის დასის შემადგენლობაში შედიოდნენ დირექტორი — ელიზბარ ზედგენიძე, სამხატვრო ხელმძღვანელი — ალექსანდრე თაყაიშვილი, კომპოზიტორი — რევაზ გოგნიაშვილი, მხატვარი — მიხეილ გოცირიძე, რეჟისორები — ბორის გამრეკელი და გრიგოლ მიქელაძე, პედაგოგიური ნაწილის გამგე — ქსენია ჭაყელი, რომელთაც მხარში ამოუდგა ენთუზიასტ მსახიობთა ჯგუფი, მათ შორის — გოგუცა კუპრაშვილი, თამარ თვალიაშვილი, მერი ერგნელი, გიორგი დარისპანაშვილი და მრავალი სხვა. იმხანად თეატრს არ გააჩნდა არც ბინა, არც დეკორაციები, არც კოსტიუმები... რეპეტიციები? საჯარო ბიბლიოთეკაში, კონსერვატორიის შენობაში, წითელარმიელთა სახლში, აკაკი ფაღავას სტუდიაში, ხშირად ალექსანდრე თაყაიშვილის ბინაზეც. ბოლოს მიიღეს მცირე დარბაზი, სადაც 150 სკამი ძლივს ეტეოდა.

— გულის ფანცქალით ველოდით, — იხსენებს რესპუბლიკის სახალხო არტისტი გოგუცა კუპრაშვილი, — საკუთარ შენობაში ფარდის ახდას. გადიოდა პიესა „რობინ ჰუდი“. მთელი დღე თეატრში ვიყავით, გრიმი ორი საათით ადრე გავიკეთეთ. გაისმა გონგის ხმა და ფარდაც აიხადა. ორკესტრი აყვირდა. თითოეულმა ჩვენგანმა გულში გავიფიქრეთ: რა კარგია, ამთავითვე დაძაბული ყურადღებით რომ გვხვდებიან. თურმე, ნუ იტყვით, დარბაზში ორად-ორი ბავშვი იყო...


და დაიწყო თავისი არსებობა მოზარდ მაყურებელთა ქართულმა თეატრმა. დაირაზმნენ, სკოლებს დაუახლოვდნენ, მოზღვავდა ახალგაზრდა მაყურებელი...

1930 წელს თეატრი ახალ შენობაში გადავიდა, სადაც წარმატებით განაგრძობს ნორჩი თაობის აღზრდის კეთილშობილ საქმეს.

თეატრის დასი დღეს 50 კაცისაგან შედგება. თეატრის კოლექტივში შედიან როგორც საშუალო, ისე ახალი თაობის წარმომადგენლები. ღვაწლმოსილი მსახიობები, რომელნიც თუმცა სცენაზე აღარ მოღვაწეობენ, თეატრს მაინც ვერ შორდებიან, მონაწილეობენ სამხატვრო საბჭოს მუშაობაში, დაგროვილ გამოცდილებას უზიარებენ დამწყებთ.

მოზარდ მაყურებელთა თეატრი მთელ თავის საქმიანობას უკავშირებს ახალი თაობის ჯანსაღი სულით აღზრდის ამოცანებს. იგი აღზრდის ისეთივე კერაა, როგორიც სკოლა, რომელიც ნორჩ თაობას უნერგავს გმირულ სულისკვეთებას, სამშობლოს სიყვარულს, ასწავლის შრომისა და სწავლის სიყვარულს... თეატრს თავისი სპეციფიკური რეპერტუარი აქვს, შეფარდებული ნორჩთა ასაკსა და სკოლის პროგრამასთან. იდგმება: დავით კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი“ და „უბედურება“, ვლადიმერ დარასელის „კიკვიძე“, შვარცის „წითელქუდა“, მოლიერის „სკაპენის ოინები“, ვალერიან კანდელაკის „მაია წუნეთელი“, შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“, დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხე“, გიგა ნახუცრიშვილის „ნაცარქექია“ და მრავალი სხვა.

„— ბავშვებისათვის უნდა ითამაშო ისე, როგორც დიდებისათვის, ოღონდ გაცილებით უკეთ, უფრო გულწრფელად და ფაქიზად“, — სტანისლავსკის ეს სიტყვები თეატრის მსახიობებს დევიზად გაუხდიათ, ამიტომაც ქმნიან მოქმედ პირთა ისეთ სახეებს, რომ მოზარდს ნამდვილად სჯერა მათი არსებობისა, ზოგი კი თავის ორეულსაც ხედავს მათში.



ფალავანდიშვილი

რედაქტორი გივი ჯარბელაშვილი

საქართველოს სანიჩბოსნო მესლალომეთა პირველ სტარტს — რესპუბლიკის თასის გათამაშებას — ამბროლაურში მდინარე რიონის აზვირთებული ტალღები მასპინძლობდა. მაყურებელი დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს სხვადასხვა კლასის ნავების ასპარეზობას. 800-მეტრიან ტრასაზე 30 საკონტროლო კარი მოეწყო, რომელიც მეექვსე კატეგორიას მიეკუთვნება, და რაც სრულიად საკმარისია მსოფლიოსა და ოლიმპიური ასპარეზობის მოსაწყობად.

ტურნირში მონაწილეობდნენ თბილისის, რუსთავის, მცხეთისა და ტულის ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოებები.

მონაწილეები წინასწარ გაეცნენ საკონტროლო დაშვებითს ტრასას, მერე კი პირველი ცდა შეასრულეს. ქალთა შორის ცდა მოიგო საქართველოსა და საბჭოთა კავშირის შარშანდელმა ჩემპიონმა, რუსთაველმა ანა დემიანენკომ. მეორე შედეგი გვიჩვენა ტულელმა ელზა მინკოვამ.

ერთადგილიანი ბაიდარებით მოასპარეზე ვაჟთა ბრძოლაში 20 სპორტსმენი ჩაება. შარშანდელი შეჯიბრების პირველმა პრიზიორმა, ოლიმპიური ნაკრების წევრმა მცხეთელმა გიორგი ნასყიდაშვილმა („ლოკომოტივი“) 56 წამით წააგო თბილისელ სულიკო ციცქიშვილთან („შრომითი რეზერვები“). მესამე შედეგი მოიპოვა ნოდარ ცხოვრებოვმა.

ერთადგილიანი კანოებით ბრძოლაში დაწინაურდა „შრომითი რეზერვების“ წარმომადგენელი, შარშანდელი ჩემპიონი მცხეთელი ტარიელ გაბრელიანი. მეორე, მესამე ადგილები დაისაკუთრა მცხეთის „ლოკომოტივმა“. დღის ბოლოს მოეწყო შეჯიბრება ორადგილიანი კანოეთი, რაშიც ტოლი არ ჰყავდათ მცხეთელებს.

გადამწყვეტი შეჯიბრება გაიმართა მეორე დღეს, მაგრამ ადგილების გადანაწილებაში დიდი ცვლილებები არ ყოფილა. თასი მცხეთის ლოკომოტიველებს დარჩათ. დაკომპლექტდა საქართველოს ნაკრები გუნდი, რომელიც მალე გაემგზავრება ლენინგრადში — სსრ კავშირის პირად პირველობაში მონაწილეობისათვის.

ლამარა ხეცურიანი

ჩვენი მისამართია: გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია — თბილისი 8, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.
უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი 26, ათონელის ქუჩა № 25.